23. Лисенко О. Є. Громадський, чернече ім'я Олексій / О. Є. Лисенко // Енциклопедія історії України: У 10-ти тт. / Редкол.: В. А. Смолій (голова) та ін. НАН України. Інститут історії України. – К.: В-во "Наукова думка", 2004. – Т. 2: Г–Д. – С. 212; Олексій Громадський // Енциклопедія Українознавства: в 10-х тт. / Під ред. В. Кубійовича. – Т. 5. – Париж-Нью-Йорк: Молоде Життя, 1973. – С. 1842.; Лабынцев Ю. А. Алексей (Громадский Александр Якубович; 01.11.1882, с. Докудов на Подлясье - 7.05.1943, с. Смыга на Волини) / Ю. А. Лабынцев // Православная энциклопедия / Под. ред. Патр. Московского и всея

- Руси Алексия П. – Т.1: А-Алексий Студит. – М.: Изд-во ЦНЦ «Православная энциклопедия», 2000. – С.664-665; Blazejowskyj D. Hierarchy of the kyivan church (861-1990) / D. Blazejowskyj. – Rome: Ed. Univ. Cath. Ucr. S. Clementis Parae, 1990. – 539 p.; История иерархии Русской Православной Церкви. Комментированные списки иерархов по епископальным кафедрам с 862 г. (с приложениями) / Сост. М. Е. Губонин. – М.: Изд-во ПСТГУ, 2006. – 926 с.
24. Магочій П.-Р. Україна: історія її земель та народів / П.-Р. Магочій; пер. з англ.: Е. Гейдель та ін.. – Ужгород: Вид-во В. Падяка, 2012. – 794 с.
25. Мельничук О. Свято-Богоявленський Кременецький монастир у контексті історії Православ'я в Україні / протоіерей О. Мельничук. – К.: [б. в.], 2007. – 216 с.
26. Митрополит Алексий (Громадский Александр Яковлевич) (1882-1943) // Религиозные деятели русского зарубежья. – Режим доступа: [http://zarubezhje.narod.ru/av/a\\_049.htm](http://zarubezhje.narod.ru/av/a_049.htm) . – Дата доступа: 20.01.2015.
27. Міненко Т. Православна Церква в Україні під час Другої Світової війни 1939-1945: у 3-х тт. / протоіерей Т. Міненко. – Вінніпег-Львів: Вид-во Львівського музею історії релігії Логос, 2000. – Т. 1 (Волинський період). – 392 с.
28. Николаев К. Н. Восточный обряд: Дорога Рима в Россию. (Рим – Польша – Россия) / К. Н. Николаев. – Париж: YMCA-PRESS, 1950. – 336 с.
29. Петрушко В. И. О попытках создания Киевского патриархата украинскими униатами и раскольниками-автокефалистами в XX веке / В. И. Петрушко. – М.: Изд-во ПСТГУ, 2008. — 407 с.
30. Поспеловский Д. В. Русская православная церковь в XX веке / Д. В. Поспеловский. — М.: Республика, 1995. – 511 с.
31. Раневский С. Украинская автокефальная Церковь / С. Раневский. – Джорданвилль: Тип-я пр. Иова Почаевского, 1948. – 22 с.
32. Рожко В. Є. Духовні православні освітні заклади Волині Х-XX ст. / В. Є. Рожко. – Луцьк: Медіа, 2002. – 280 с.
33. Рожко В. Є. Нарис історії української православної церкви на Волині: Історико-краєзнавчий нарис / В. Є. Рожко. – Луцьк: Медіа, 2001. – 672 с.
34. Савчук С., Мулик-Луцик Ю. Історія Української Греко-Православної Церкви в Канаді: У 5 тт. / С. Савчук, Ю. Мулик-Луцик. – Т. I: Київська церковна традиція українців Канади. – Вінніпег : Екклесія, 1984. – 616 с.; Савчук С., Мулик-Луцик Ю. Історія Української Греко-Православної Церкви в Канаді: У 5 тт. / С. Савчук, Ю. Мулик-Луцик. – Т. IV: Українська Греко-Православна Церква в

- Канаді в юрисдикції архієпископа І. Теодоровича. – Вінніпег: Екклезія, 1989. – 803 с.
35. Свиляр'ов А. Еклезіологічний аналіз розколів в Україні у ХХ столітті: Дис... кандидата богослів'я / А. Свиляр'ов; Київська Духовна Академія. – К., 2001. – 174 с.
36. Свитич А. К. Православная Церковь в Польше и её автокефалия / А. К. Свитич // Православная Церковь на Украине и в Польше в ХХ столетии. 1917-1950 гг.: Сборник. – М.: Крутицкого патриаршего подворья. 1997. – С. 87-286.
37. Силова С. В. Православная церковь в Белоруссии в годы Великой Отечественной войны(1941–1945 гг.): / С. В. Силова. – Гродно: Изд-во ГрГУ, 2003. – 105 с.; Силова С. В. Гродненская Православная епархия в 1921–1939 гг. Источники и историография / С. В. Силова // Религиозные традиции Европы и современность: изучение и преподавание в российских и зарубежных университетах: сборник научных и научно-методических статей / Под ред. Д. И. Польшванного. – Иваново: Изд-во Иван. госуд. ун-т, 2011. – С. 216-234.; Сілава С. У. Гродзенская праваслаўная епархія 1921-1939 гг. (некаторыя старонкі гісторыі) С. У. Сілава // Polacy i Białorusini. Nasza wspólna historia: Dwudziestolecie międzywojenne. Materiały z międzynarodowej konferencji naukowej w Grodnie (11-13 czerwca 2010 r.) / Red. W. Szewczyk. – Grodno, 2011. – S. 57 – 67.
38. Скакальська І. Б. Внесок української релігійної еліти Волині у розвиток духовного потенціалу народу / І. Б. Скакальська // Наук. записки ТНПУ ім. В. Гнатюка. / За заг. ред. проф. І. С. Зуляка. – Тернопіль: Вид-во ТНПУ ім. В. Гнатюка, 2011.– Вип. 1. – Історія. – С. 125-130.
39. Феодосій (Процюк). Обособленические движения в Православной Церкви на Украине (1917-1943) / митрополит Феодосій (Процюк). – М.: Изд-во Крутицкого подворья, 2004. – 630 с.
40. Фотієв К. Попытки украинской церковной автокефалии в ХХ веке / протоиерей К. Фотієв // Православная Церковь на Украине и в Польше в ХХ столетии. 1917-1950 гг.: Сборник. – М.: Крутицкого патриаршего подворья. 1997. – С. 7-85.
41. Шкаровский М. В. История русской церковной эмиграции / М. В. Шкаровский. – СПб.: Алетейя, 2009. – 359 с.; Шкаровский М. В. Крест и свастика. Нацистская Германия и Православная Церковь / М. В. Шкаровский. — М.: Вече, 2007. — 512 с.; Шкаровский М. В. Политика Третьего Рейха по отношению к Русской Православной Церкви в свете архивных материалов 1935-1945 гг. (Сборник документов) / М. В. Шкаровский. – М.: Крутицкое патриаршее подворье, 2003. – 364 с.;

Шкаровский М. В. Русская Православная Церковь в XX веке / М. В. Шкаровский. – М.: Вече, Лепта, 2010. – 480 с.; Шкаровский М. В. Русская церковь и Третий рейх / М. В. Шкаровский. – М.: Вече, 2010. – 464 с.

42. Щавинская Л. Л. Книги и брошюры крупнейшего православного издательского центра межвоенной Польши - Варшавской синодальной типографии / Л. Л. Щавинская // Славяноведение. – 1988. – №1. – С. 77-80.

43. Яковенко Н. М. Вступ до історії / Н. М. Яковенко. – К.: Критика, 2007. – 368 с.

**Рецензент:** Профессор Людмила Шугаева, Доктор философских наук, Заведующий кафедрой философии Ровенского государственного гуманитарного университета.

აღექსანდრე იცენკო

მიტროპოლიტ ალექსის (ა. გრომადსკი) პიროვნება და შემოქმედებითი მემკვიდრეობა როგორც ფილოსოფიურ-რელიგიური სწავლების კვლევის ობიექტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია კვლევები, რომლებიც ეძღვნება მიტროპოლიტ ალექსის პიროვნებასა და მის თეოლოგიურ - ფილოსოფიურ კვლევებს. საერო და კონფესიალური შრომების ანალიზზე დაყრდნობით აღმოჩნდა, რომ მოცემული პრობლემატიკა არასრულად არის შესწავლილი თეოლოგიური კუთხით და დამატებით კვლევებს მოითხოვს, ხოლო მის შემოქმედებით მემკვიდრეობას კი საერთოდ არ ჩატარებია კომპლექსური თეოლოგიურ - ფილოსოფიური ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: მართმადიდებლობა, პროსოპოგრაფია, მიტროპოლიტი ალექსეი (გრომადსკი), ავტონომიური მართლმადიდებელი ეკლესია.

რეცენზენტი: პროფესორი ლუდმილა შუგაევა, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, როვნოს სახელმწიფო ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის გამგე.

**Alekcahdr Itsenko**

**Personality and Creative Inheritance of the Metropolitana Alexia (A. J. Gromadskoho) as object of the Philosophic-Religious Research**

**Summary**

In this article examined the researches devoted to personality and theologico-philosophical creative of the metropolitana Alexia (Hromadskoho). On the base of the analyse the works of the secular and confessionalist researches indicated that given problem consecrate the religious field deficient complete and demands extra researches and creative inheritance of the thinker at all undergo of the complex philosophic-religious analyse.

**Keywords:** Orthodoxy, prosopographia, metropolitan Alexiy (Hromadskyy), the Autonomous Orthodox Church.

**Reviewer:** Professor Ludmila Shugaeva, Doctor of Philosophical Sciences, Head Chair of Philosophy of the Rivne State Humanitarian University.

# ს ა ჯ ა რ ო მ მ ა რ თ ე ლ ო ბ ა

ბაღრი ნაკაშიძე  
პარლამენტის ზედა პალატა სახელმწიფო მართვის  
სისტემაში

სტატია ეძღვნება უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს - პარლამენტის ზედა პალატას, მის როლს სახელმწიფო მართვის სისტემაში, კერძოდ საკანონმდებლო პროცესში, საკადრო საკითხების გადაწყვეტაში, საპარლამენტო კონტროლსა თუ სახელმწიფო აღმშენებლობის სხვა მნიშვნელოვან საკითხთა გადაწყვეტაში.

საკვანძო სიტყვები: პარლამენტი, ზედა პალატა, კონსტიტუცია, კანონმდებლობა, სახელმწიფო მართვა.

საქართველოს კონსტიტუციის მეოთხე მუხლის თანახმად, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ, საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი. ამავე მუხლის თანახმად, რესპუბლიკის საბჭო შედგება პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან, ხოლო სენატი - აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, ასევე საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან.

სტატიის ავტორს, როგორც საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრს (1995) ახსოვს ამ კონსტიტუციურ დებულებასთან დაკავშირებული აზრთა სხვადასხვაობა. უნიტარული და მკაცრად ცენტრალიზებული სახელმწიფო მოწყობის მომხრენი ერთპალატიან პარლამენტს უჭერდნენ მხარს. ორპალატიანი პარლამენტის სასარგებლოდ ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი კი იყო (და რჩება) საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ინტერესთა წარმოდგენა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ცალკე პალატის სახით, რაც უფრო მეტად ასახავდა ჩვენი

სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ისტორიულ თავისებურებებს და მის მართვას მეტ ლეგიტიმურობასა და დემოკრატიულობას შექმნდა.

კონსტიტუციის ეს მუხლი, რომელიც მომავლისკენ არის მიმართული, ადგენს ორპალატიანი პარლამენტის არსებობას საქართველოში მის მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო იურისდიქციის აღდგენის შემდეგ. ეს საკითხი დღეისათვის ურთულესი სამართლებრივ-პოლიტიკური პრობლემაა, რომლის გადაწყვეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ერთიანი სახელმწიფოს მართვის სისტემაში ინტეგრირება იქნება. ამდენად, საინტერესოდ მიგვაჩნია პარლამენტის ზედა პალატის როლისა და მნიშვნელობის შედარებითი ანალიზი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

უნდა ითქვას, რომ პარლამენტების შესახებ ნაშრომებში ავტორები ძირითად ყურადღებას ქვედა პალატას უთმობენ. ეს გასაგებიცაა, მას საკანონმდებლო ორგანოში წამყვანი როლი აკისრია. მსოფლიო ქვეყნების ნახევარზე მეტში პარპარლამენტი ერთპალატიანია. ზოგიერთ ქვეყანაში კი ის საერთოდ არ არის. მაგალითად, ის არ არის ზოგიერთ ისლამურ სახელმწიფოში (კატარი, ომანი, საუდის არაბეთი, გაერთიანებული ემირატები და სხვა), სადაც წარმომადგენლობითი ორგანო მაღალი რანგის რელიგიურ პირთაგან შემდგარი საკონსულტაციო საბჭოა (აშშ შურა), ფიქსირებული შემადგენლობით და უვადო მოქმედებით. პარლამენტთა მნიშვნელობა ნაკლებია აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყნებში, სადაც ავტორიტარული მმართველობაა დამკვიდრებული.

ზედა პალატის შექმნის პროცესი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული იყო. მაგალითად, საფრანგეთსა და ინგლისში ის იქმნებოდა როგორც ქვეყნის არისტოკრატიის წარმომადგენლობითი ორგანო, განსაკუთრებული უფლებებითა და პრივილეგიებით, რომელიც აწონასწორებდა მონარქის აბსოლუტურ მმართველობას. აზიის, ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნებში კი პარლამენტის ზედა პალატა იქმნებოდა „ზემოდან“, ანუ მას აწესებდა ქვეყნის კონსტიტუცია. უმრავლეს ქვეყნებში ზედა პალატას სენატი ეწოდება (აშშ, იტალია, პოლონეთი, რუმინეთი, საფრანგეთი და სხვა), რუსეთში - ფედერაციის საბჭო, ბელორუსიაში - რესპუბლიკის საბჭო, ინდოეთში - შტატების საბჭო, გერმანიაში - საკავშირო

საბჭო (ბუნდესრაცი), შვეიცარიაში - კანტონთა საბჭო, ნიდერლანდებში - პირველი (ანუ ზედა) პალატა. ზედა პალატის დასახელება ძირითადად ასახავს მის როლსა და მდგომარეობას სახელმწიფო მართვის სისტემაში. მართალია, შუა საუკუნეებთან შედარებით დღეს ეს როლი მნიშვნელოვნად შემცირდა, [1] მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ცალკეულ ქვეყნებში არსებულ ახალ ტენდენციებს, ზედა პალატები სახელმწიფო მართვის სულ უფრო აქტიური მონაწილეები ხდებიან. ახალი კონსტიტუციები ცალკე გამოყოფენ პალატათა ერთობლივი გამგებლობის საკითხებს და ცვლკე იძლევიან ძედა და ქვედა პალატების უფლებამოსილებათა ჩამონათვალს. ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა, მაგალითად, მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადება ბევრ ქვეყანაში (იტალია, კოლუმბია, ჩილი, ურუგვაი და სხვა) ზედა და ქვედა პალატების ერთობლივ გამგებლობას განეკუთვნება. ფრანგი კონსტიტუციონალისტის მ. ფაბრის თანახმად, „ბიკამერალიზმი კონსტიტუციური ტექნიკის საუკეთესო ფორმაა, რაც იძლევა საშუალებას, რომ საპარლამენტო სუვერენიტეტი არ იქცეს საპარლამენტო დიქტატურად“, [2] რაც მოსალოდნელი იქნებოდა ასეთი „შემაკავებელი“ პალატის არ არსებობის შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ პარლამენტის ზედა პალატა არ წარმოადგენს სახელმწიფო მართვის სისტემაში დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს. ამიტომ მისი სამართლებრივი მდგომარეობა დამოკიდებულია მთლიანად პარლამენტის სამართლებრივ მდგომარეობასა და ადგილზე სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში. დემოკრატიულ სახელმწიფოებში, სადაც პარლამენტი სრულყოფილად ასრულებს მისთვის განკუთვნილ როლს, მისი ზედა პალატაც ასევე სრულფასოვნად ახორციელებს მასზე დაკისრებულ ამოცანებს. ხოლო იქ, სადაც ზოგადად პარლამენტის როლი შეზღუდულია (დამახასიათებელია იმ ქვეყნებისთვის, სადაც სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები ჩამოყალიბების სტადიაშია), ეს აისახება ზედა პალატის უფლებრივ მდგომარეობაზეც.

ამასთან, ზედა პალატა არა მხოლოდ ქვედა პალატასთან ერთობლივ უფლებამოსილებებს განახორციელებს (მაგალითად, ღებულობს კანონებს), არამედ გააჩნია საკუთარი, დამოუკიდებელი უფლებამოსილებებიც. მაგალითად, სვავადანხვა პოლიტიკურ თანამდებობებზე პრეზიდენტის მიერ

წარდგენილი (ან დანიშნული) კანდიდატების დამტკიცება (აშშ, რუსეთი, საფრანგეთი). ბევრი ამგვარი უფლებამოსილება გათვალისწინებულია არა მხოლოდ კონსტიტუციით, არამედ სხვა საკანონმდებლო აქტებითაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზედა პალატის როლი სახელმწიფო მართვის სისტემაში მართვის ერთი და იგივე ფორმების პირობებშიც კი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. ბევრია დამოკიდებული იმ ტრადიციებსა და ისტორიულად დამკვიდრებულ ავტორიტეტზე, რომელიც გააჩნია ზედა პალატას ამა თუ იმ ქვეყანაში.

ზოგადად, ზედა პალატათა როლი ქვეყნის მართვის სისტემაში გამოიკვეთება მათი უფლებამოსილებების მოცულობისა და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებთან მათი ურთიერთდამოკიდებულების ხასიათის მიხედვით. პირველ ყოვლისა ეს ეხება საკანონმდებლო, საკადრო და მაკონტროლებელ უფლებამოსილებებს.

საკანონმდებლო სფეროში არსებული პრაქტიკის თანახმად მიზანშეწონილად მიჩნეულია კანონის მიღება ორივე პალატის მიერ. ამასთან, ქვედა პალატას შეუძლია თავად მიიღოს კანონი, თუ ის დაძლევეს ზედა პალატის ვეტოს. ამისათვის მას ესაჭიროება ხმათა კვალიფიცირებული უმრავლესობა. მაგალითად, რუსეთში წევრთა არანაკლებ 2/3-სა. სხვა ქვეყნებში (პოლონეთი და სხვა) საკმარისია ხმათა უბრალო უმრავლესობა. ცალკეულ შემთხვევებში (მაგალითად, გერმანია, ჩილე) გარკვეულ პირობებში კანონი შეიძლება მიიღოს მხოლოდ ზედა პალატამ. თუმცა, ეს ძალზე იშვიათი პრაქტიკაა.

ზოგიერთ ქვეყნებში (ინდოეთი და სხვა) ზედა პალატის ვეტოს დაძლევა სხვა ხერხებითაც არის შესაძლებელი. მაგალითად, პალატათა გაერთიანებულ სხდომაზე. უნდა ითქვას, რომ ვეტოს უფლებას ზედა პალატა იშვიათად მიმართავს. უფრო ხშირია შემთანხმებელი კომისიის შექმნის შემთხვევები, სადაც მხარეთათვის მისაღები გადაწყვეტილებები მიიღწევა.

ყველა შემთხვევაში, კანონპროექტი ქვედა პალატაში განხილვის შემდეგ გადაეცემა ზედა პალატას, სადაც მას განიხილავენ და ან მოიწონებენ, ან შენიშვნებით დაუბრუნებენ ქვედა პალატას. ზოგიერთი ქვეყნის (გერმანია, რუსეთი) პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ზედა პალატები ცალკეულ შემთხვევაში დეტალურად (ან საერთოდ) არ განიხილავენ კანონპროექტს და დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ის

ავტომატურად ითვლება მიღებული მხოლოდ ქვედა პალატის მიერ. თუმცა, რუსეთის ფედერაციის მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფედერაციის საბჭო თავისი როლის გაძლიერების მიზნით ბოლო წლებში ასეთ პრაქტიკას არ მიმართავს.

იმ ქვეყნებში (აშშ, იტალია), სადაც შესაძლებელია საკანონმდებლო პროცესის დაწყება პარლამენტის ნებისმიერი პალატიდან, შესაძლოა ვეტოს უფლება ქვედა პალატამაც გამოიყენოს. ზოგიერთ შემთხვევაში კანონპროექტი ერთდროულად ორივე პალატაში შეაქვთ, რათა დაახქარონ მისი მიღება. ასეთი პრაქტიკა ხშირია აშშ-ში.

ბევრ ქვეყანაში ქვედა პალატა საკანონმდებლო პროცესში უპირატესობით სარგებლობს. მას ზედა პალატისაგან დამოუკიდებლადაც შეუძლია მიიღოს ის კანონები, რომელთა მიღებაშიც ზედა პალატის მონაწილეობა არ არის აუცილებელი (ეს არ ეხება ისეთ მნიშვნელოვან კანონებს, როგორცაა ცვლილებები კონსტიტუციაში, კანონი ბიუჯეტის შესახებ, საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება და სხვა). ამასთან, არის ქვეყნები (გერმანია, ჩილე) სადაც, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ზედა პალატას შეუძლია მიიღოს კანონი ქვედა პალატის მონაწილეობის გარეშე. გერმანიაში ეს შესაძლებელია მაშინ, როდესაც ქვედა პალატა არ დებულობს მთავრობის მიერ შეტანილ და, მისი (მთავრობის) აზრით, გადაუდებელ კანონპროექტს. ჩილეში პარლამენტის ზედა პალატას ასევე შეუძლია დამოუკიდებლად კანონის მიღება, მაგრამ ამისათვის მას ესაჭიროება ხმათა არანაკლებ 2/3-სა.

ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, რუსეთში) ქვედა პალატის მიერ მიღებულ კანონის პროექტს კანონი ეწოდება, რაც არ მიგვაჩნია სწორად. კანონად ის იქცევა მხოლოდ მაშინ, როცა მას ზედა პალატაც მოიწონებს და შემდეგ პრეზიდენტი ხელს მოაწერს. მანამ კი მას უმჯობესია კანონის პროექტი ეწოდებოდეს, ვინაიდან მისი მოქმედება იწყება მხოლოდ დადგენილი საკანონმდებლო სტადიების გავლის შემდეგ. თუ ზედა პალატამ არ დაადასტურა ქვედა პალატის მიერ მიღებული „კანონი“, ან კიდევ პრეზიდენტმა გამოიყენა ვეტოს უფლება, ეს პროექტი შესაძლოა აღარც კი იქცეს კანონად.

ასევე არასწორად მიგვაჩნია ზოგიერთ ქვეყანაში (იტალია, რუსეთი, ტაჯიკეთი) საკონსტიტუციო სასამართლოსათვის საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მინიჭება (თუმცა,

ხშირად შეზღუდული). წარმოვიდგინოთ რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შეტანილი კანონის პროექტი მიღებული იქნა. შემდეგ აღმოჩნდა რომ ის წინააღმდეგობაშია კონსტიტუციის რომელიმე დებულებასთან. სად უნდა გასაჩივრდეს ეს კანონი? - საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელიც თავადაა ამ კანონის ავტორი. ამ შემთხვევაში რამდენად ობიექტური იქნება „მოსამართლე საკუთარ საქმეში“? რუსეთის მაგალითზე საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებში. ეს სფერო იმდენად ყოვლისმომცველია, რომ ფაქტობრივად შეუზღუდავს ხდის საკანონმდებლო ინიციატივების არეალსაც. ვფიქრობთ, უმჯობესი იქნებოდა ეს უფლება ადამიანის უფლებათა საკითხებში რწმუნებულისათვის განკუთვნილიყო.

ევროპის კავშირში ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცედურა თავისი ძირითადი ეტაპებით ასევე მოგვაგონებს სუვერენული ქვენის შიგნით დადგენილ საკანონმდებლო პრაქტიკას. ევროპის კომისია (მთავრობა) აწვდის საკანონმდებლო წინადადებას ევროპის პარლამენტსა და საბჭოს [საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ევროპის კავშირის სხვა ინსტიტუტებსაც გააჩნიათ] (პირობითად ვუწოდოთ მათ ქვედა და ზედა პალატა). შემდგომი პროცესი წარიმართება სწორედ ამ ორი ინსტიტუტის მონაწილეობით, რომელთაგან ერთი (პარლამენტი) წარმოადგენს საერთოევროპულ ინტერესებს, ხოლო მეორე (ევროპის კავშირის საბჭო) იხრება ევროკავშირში შემავალ სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესებისაკენ. ეს საინტერესო ბალანსი ჯამში იძლევა ლეგიტიმურობისა და დემოკრატიულობის მაღალი ხარისხის სამართლის წყაროს.

სახელმწიფოს მეთაურთან ურთიერთობის სფეროში ზედა პალატა განახორციელებს როგორც კონსტიტუციით მხოლოდ მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს, ასევე ქვედა პალატასთან ერთობლივ უფლებამოსილებებსაც. მაგალითად, ერთობლივ სხდომებზე პრეზიდენტის არჩევა (ჩეხეთი), პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა (ბრაზილია). პრეზიდენტისთვის, ასევე ზოგიერთი სხვა მაღალი თანამდებობის პირთათვის იმპიჩმენტის გამოცხადების გადაწყვეტილებას ზედა პალატა დამოუკიდებლად დებულობს. ამას, რა თქმა უნდა, წინ უძღვის ქვედა პალატაში ბრალის წაყენების პროცედურა.

მთავრობასთან ურთიერთობა, ძირითადად, ქვედა პალატის საქმიანობის სფეროს განეკუთვნება. თუმცა, ზოგიერთ ქვეყნებში ზედა პალატას შეუძლია მთავრობას უნდობლობა გამოუცხადოს, რის შემდეგ მთავრობა გადადგება, პარლამენტი დაიშლება, ხოლო პრეზიდენტი ნიშნავს ახალ არჩევნებს (ასე იყო იტალიაში 2008 წელს). უმრავლეს ქვეყნებში მთავრობას შეაქვს რა კანონპროექტი ქვედა პალატაში, მის ასლს ამავდროულად წარუდგენს ზედა პალატასაც. ზედა და ქვედა პალატებში ატარებენ ე.წ. „სამთავრობო საათებს“, სადაც წინასწარ მოიწვევენ მინისტრს, ან მთავრობის სხვა წევრს კონკრეტული საკითხის განსახილველად. დიდ ბრიტანეთში „შეკითხვების საათი“ იმართება ყოველი პლენარული სხდომის წინ, რაზედაც პალატის წევრები წერილობითი ფორმით გადასცემენ მინისტრებს შეკითხვებს. თუმცა, არანაირ სავალდებულო გადაწყვეტილებებს მინისტრების მიმართ ზედა პალატები არ ღებულობენ. მხოლოდ ზოგიერთ ქვეყნებში და მხოლოდ ქვედა პალატასთან ერთად მას შეუძლია ასეთი გადაწყვეტილების მიღება.

მაკონტროლებელი უფლებამოსილებები ძირითადად ქვედა პალატის საქმიანობის სფეროა. ზედა პალატა უმთავრესად ხსენებული „სამთავრობო საათით“ შემოიფარგლება. მას შეიძლება პრემიერ-მინისტრიც დაესწროს, თუ კომიტეტში კანონის პროექტი განიხილება (იაპონია). ზოგიერთ ქვეყანაში ზედა პალატას სხვა მაკონტროლებელი უფლებებიც გააჩნია. მათი რეალიზება არსებითად ხდება პრეზიდენტის ან სხვა თანამდებობის პირთა მიმართ იმპიჩმენტის საკითხის განხილვისას, ქვეყნის მეთაურისთვის ზოგიერთი უმაღლესი თანამდებობის პირთა დანიშვნაზე თანხმობის მიცემისას.

კონტროლის ერთ-ერთი გაცველებული ფორმაა შეკითხვები სახელმწიფო ორგანოთა და უმაღლეს თანამდებობის პირთა მიმართ. შეკითხვა უნდა გაუღერდეს და მასზე პასუხი გაეცეს უშუალოდ პლენარულ სხდომაზე. ასეთი შეკითხვები სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე წერილობით გადაეგზავნება მთავრობის წევრს. კითხვა არ უნდა ატარებდეს პიროვნულ ხასიათს, არ უნდა შეიცავდეს ბრალდებას, უნდა ეხებოდეს ფაქტებს. ასეთი კითხვების რაოდენობა ზოგჯერ დგინდება რეგლამენტით. ნებისმიერ შემთხვევაში, მინისტრს არ შეუძლია ერთ სხდომაზე 10-12-ზე მეტ შეკითხვას გასცეს პასუხი. პასუხების განხილვა, როგორც წესი, გათვალისწინებული არ არის. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე პალატას

შეუძლია შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები მთავრობის ან რომელიმე უწყების მიმართ.

კონტროლის კიდევ ერთი ფორმაა საპარლამენტო გამოძიება. ის მიმდინარეობს რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევასთან დაკავშირებით. ასეთი საგამოძიებო კომისიის შექმნის უფლება აქვთ ორივე პალატებს როგორც დამოუკიდებლად, ასევე ერთობლივად. ხშირად გამოიძიება ტარდება სასამართლო პროცედურების მიხედვით (იტალია). საგამოძიებო კომისია მხოლოდ ადგენს ფაქტებს და მოახსენებს პარლამენტს (პალატას). თვითონ კომისიას არანაირი ზომების მიღების უფლება არ გააჩნია, დასკვნებს კი მხოლოდ რეკომენდაციული ხასიათი აქვთ.

მნიშვნელოვანია ზედა პალატის უფლებამოსილებები საკადრო საკითხებში. ცალკეულ შემთხვევებში ამ უფლებებს ის ახორციელებს ქვედა პალატასთან ერთობლივად. ურუგვაიასა და პარაგვაიში ზედა პალატას შეუძლია მინისტრებზე უნდობლობის გამოცხადება „მათ მიერ თანამდებობრივი მოვალეობების განხორციელებასთან დაკავშირებით“. ასეთი წინადადების დაყენება შეუძლიათ ერთ-ერთი პალატის წევრთა არანაკლებ 1/10-ს, ხოლო კენჭისყრა იმართება პალატათა ერთობლივ სხდომაზე. თუ მინისტრის გადაყენებას მხარი დაუჭირა ორივე პალატის წევრთა არანაკლებ 50%+1-მა, პრეზიდენტი მინისტრს გადააყენებს.

მექსიკაში სენატი თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დედაქალაქის გუბერნატორს. დომინიკის რესპუბლიკაში სენატი ირჩევს საარჩევნო კომისიისა და კონტროლის პალატის სრულ შემადგენლობას. ბელორუსში ზედა პალატა ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს ექვს წევრს. დანარჩენ წევრებსა და თავმჯდომარეს ნიშნავს პრეზიდენტი. ყაზახეთში ზედა პალატა დამოუკიდებლად ნიშნავს კონტროლის პალატის სამ წევრს, უხსნის იმუნიტეტს გენერალურ პროკურორს, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარესა და მოსამართლეებს, თანხმობას აძლევს (ან არ აძლევს) პრეზიდენტს გენერალური პროკურორისა და ეროვნული უშიშროების თავმჯდომარის დანიშვნაზე. სენატის თავმჯდომარე ნიშნავს საკონსტიტუციო საბჭოს ორ წევრს.

როგორც ვხედავთ, სახელმწიფოს ცენტრალურ კოლეგიალურ ორგანოთა ნაწილი (კონტროლის პალატა, ეროვნული ბანკის საბჭო, ცენტრალური საარჩევნო კომისია) ინიშნება ზედა პალატის მიერ (მეორე ნაწილს ნიშნავს ან

ქვედა პალატა ან სახელმწიფოს მეთაური). დიდია ზედა პალატის როლი უმაღლესი სასამართლოების ფორმირებაში (გერმანიაში საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობის ნახევარი ინიშნება ზედა პალატის მიერ, ესპანეთში - ერთი მესამედი). საფრანგეთში კონსტიტუციური საბჭოს ერთ მესამედს ინიშნავს სენატის თავმჯდომარე, რუსეთში კი სამივე უმაღლესი სასამართლოების შემადგენლობას (საკონსტიტუციო, უმაღლესი და უმაღლესი საარბიტრაჟო) ინიშნავს ზედა პალატა პრეზიდენტის წარდგინებით.

პრეზიდენტის მიერ დასანიშნ კანდიდატებზე ზედა პალატის თანხმობის მიცემის პრაქტიკა მოდის აშშ-ს კონსტიტუციური დებულებებიდან, სადაც სენატი აძლევს პრეზიდენტს თანხმობას მინისტრების, ფედერალური მოსამართლეების, ელჩებისა და სხვა თანამდებობის პირთა დანიშვნაზე. უარი ასეთ დანიშვნებზე იშვიათია და დაკავშირებულია მხოლოდ კანდიდატთა ეთიკურ მახასიათებლებთან, მათ პროფესიონალურ მომზადებას სენატი არ აფასებს.

ზოგიერთ სახელმწიფოში ზედა პალატა მონაწილეობს იმპიჩმენტის პროცედურაში. აშშ-ი, არგენტინასა და სხვ. სენატი, წევრთა 2/3-ით, დამოუკიდებლად დებულობს გადაწყვეტილებას ზოგიერთ მაღალ თანამდებობის პირთა გადაყენების შესახებ. აშშ-ში იმპიჩმენტის პროცედურა შესაძლებელია გამოყენებული იქნას პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის, მინისტრების, გუბერნატორების, ფედერალური მოსამართლეების, ელჩების მიმართ. ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში იმპიჩმენტი გამოიყენება ასევე გენერლების, გენერალური პროკურორის, გენერალური ადვოკატების, სამხედრო-საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო ძალების სარდალთა მიმართ (ჩილი, ბრაზილია, ურუგვაი).

გარდა აღნიშნულისა, ზედა პალატას სახელმწიფო მართვის სფეროში აქვს ბევრი სხვა უფლებამოსილება, რომელსაც ის განახორციელებს დამოუკიდებლად ან ქვედა პალატასთან ერთობლივად. მაგალითად, ბოლივიაში (შესაბამისი სიტუაციის შექმნისას) პალატათა ერთობლივ სხდომაზე შეიძლება აირჩიონ ქვეყნის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი, რუმინეთში შესაძლოა პრეზიდენტის გადაყენება, ხოლო ყაზახეთში პრემიერის დანიშვნაზე თანხმობის მიცემა.

გავრცელებული აზრის მიუხედავად, ზედა პალატები დღეს აღარ წარმოადგენენ ქვედა პალატის დემოკრატიული

ინიციატივების „დამროგუნაე“ ინსტრუმენტს. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის ლორდთა პალატის წევრები 1999 წლიდან ინიშნებიან მონარქის მიერ ქვეყნის პრემიერ-მინისტრის წარდგინებით და ის აღარ განიხილება შემაკავებელ ინსტრუმენტად სახელმწიფო მართვის სისტემაში, ან კიდევ - ქვედა პალატის საქმიანობის წინაღობად. უფრო მეტიც, ზოგიერთ საკითხებში ლორდთა პალატა ემხრობა უფრო პროგრესულ პოზიციას, ვიდრე ქვედა პალატა. კერძოდ, 1998 წელს მისი ინიციატივით იქნა მიღებული კანონი ადამიანის უფლებათა შესახებ.

ზედა პალატა დღეს, უპირველეს ყოვლისა, განიხილება როგორც დამატებითი, დინჯი და გონივრული ანალიზის შედეგად მიღებული ხარისხიანი კანონების უზრუნველყოფი ორგანო. გარდა ამისა, ზედა პალატა წარმოადგენს ტერიტორიულ ერთეულთა წარმომადგენლობით ორგანოს, და არა მხოლოდ ფედერაციული მოწყობის ქვეყნების სუბიექტთათვის, არამედ უნიტარული სახელმწიფოების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისთვისაც. ბელორუსის კონსტიტუციის 91 მუხლის თანახმად პარლამენტის ზედა პალატა - რესპუბლიკის საბჭო არის ტერიტორიული წარმომადგენლობის ორგანო. საფრანგეთის კონსტიტუციის 24 მუხლის თანახმად სენატი არის ტერიტორიალურ კოლექტივთა წარმომადგენლობა. ხშირად ის უცხოეთში მცხოვრებ საფრანგეთის მოქალაქეთა წარმომადგენლობაცაა. სპეციალურად მათთვის ზედა პალატაში გარკვეული რაოდენობის ადგილები გამოიყოფა ხოლმე.

ამასთან, ზედა პალატის არსებობას არ მიიჩნევენ საჭიროდ მსოფლიოს ნახევარზე მეტ ერთპალატიანი პარლამენტის მქონე სახელმწიფოებში. ის იშვიათად გამოიყენება უნიტარული მოწყობის ქვეყნებში. ტოტალიტალური სოციალიზმის ქვეყნებში ზედა პალატას ხშირად ენიჭებოდა კომპაქტურად დასახლებული ეთნოსების (ეროვნებების) და არა ტერიტორიების ინტერესთა წარმომადგენელი ორგანოს როლი. ამიტომაც, ასეთ ფედერაციებში სუბიექტები იქმნებოდა ეროვნულ-ტერიტორიული ნიშნით. ყოფილ სსრკ-ში, ჩეხოსლოვაკიაში, იუგოსლავიაში ფედერაციის სუბიექტებს ქონდათ ნაციონალური ხასიათი, მათგან ზედა პალატაში ეროვნული ნიშნით იგზავნებოდა გარკვეული რაოდენობის წარმომადგენელი. მათი რიცხვი თანაბარი იყო ერთგვაროვანი

ეროვნულ-ტერიტორიული წარმონაქმნებისათვის (რესპუბლიკები, ავტონომიები, ოლქები, მხარეები და ა.შ.). ტოტალიტარული სოციალიზმის მქონე თანამედროვე ქვეყნებში (ვიეტნამი, ჩინეთი, ჩრდილოეთი კორეა, კუბა, ლაოსი) ერთპალატიანი პარლამენტებია.

ზოგჯერ პოლიტიკოსები და მკვლევარები ზედა პალატის არსებობას, განსაკუთრებით უნიტარულ ქვეყნებში, განიხილავენ როგორც გარკვეულ ნაკლოვანებას სახელმწიფო მართვის სისტემაში. ისინი თვლიან, რომ ბიკამერალიზმი წელავს კანონშემოქმედებით პროცესს, ხელს უშლის სხვადასხვა საკითხებზე სწრაფ რეაგირებას, მიჰყავს ბიუროკრატიზაციისაკენ. ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში ის გააუქმეს (ბალყანეთის უმეტეს სახელმწიფოში, თურქეთში, დანიაში, ფინეთში, შვეციაში). ზოგიერთ უნიტარულ სახელმწიფოში კი პირიქით - მივიდნენ დასკვნამდე ზედა პალატის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ.

პარლამენტის ორპალატიანი სტრუქტურა არ არის აფრიკის თითქმის არცერთ სახელმწიფოში, ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში, აზიის ზოგიერთ ქვეყანაში. ზედა პალატა არ არის ზოგიერთი ფედერაციული მოწყობის მქონე სახელმწიფოებშიაც. მათ შორის ტანზანიის გაერთიანებულ რესპუბლიკაში, კომორის კუნძულების ფედერალურ ისლამურ სახელმწიფოში, მიკრონეზიის ფედერაციულ შტატებში. მართალია, ფედერაციის გარკვეული ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობისათვის ერთპალატიან პარლამენტებში სპეციალურადაა გამოყოფილი გარკვეული რაოდენობის ადგილები.

რა თქმა უნდა, ის, თუ როგორი პარლამენტი ექნება სახელმწიფოს, მხოლოდ ამ სახელმწიფოს ხალხის გადასაწყვეტია. მხოლოდ მას შეუძლია გამოხატოს ნება იქონიოს თუ არა ორპალატიანი პარლამენტი. შესაძლოა, ძალზედ პატარა სახელმწიფოებისათვის, მათ შორის ფედერაციულში (მაგალითად, სენტ-ქიტსისა და ნევისში, სადაც მხოლოდ 40 ათასამდე მაცხოვრებელია) ორპალატიანი პარლამენტი ზედმეტი ტვირთია ქვეყნის ბიუჯეტისთვის. მაგრამ იქ, სადაც არსებობს ზედა პალატა, ის მოწოდებულია შეასრულოს მისთვის განკუთვნილი როლი სახელმწიფო მართვის სისტემაში და უფრო მეტად სრულყოფილი გახადოს კანონშემოქმედებითი პროცესი.

ლიტერატურა

**References:**

1. Hamon P., Troper M. Droit constitutionnel. 30-e ed. P.127; Jamrosz A. Le role du Senat de la Republique de Pologne dans la procedure legislative // L'etat et le droit d'est en ouest. Melanges offerts au professeur Michel Lesage. P.? 2006. P. 158.
2. Fabr M.H. Principes republicaines de droit constitutionnel. P., 1984. P. 281.

**Badri Nakashidze**

**The Upper House of Parliament in the system of State Management**

**Summary**

The article is devoted to the upper chamber of the Supreme legislative body - the Parliament, its role in the system of governance, in particular in the legislative process, in dealing with personnel issues, parliamentary control and other important issues of state building.

**Keywords:** Parliament, Upper chamber, Constitution, Legislation, Public administration.

**Reviewer:** Professor Giorgi Bagaturia, Georgian Technical University

**Бадри Накашидзе**

**Верхняя палата парламента в системе государственного управления**

**Резюме**

Статья посвящена вопросам работы верхней палаты Верховного законодательного органа - парламента, его роли в системе управления, в частности, в законодательном процессе, в решении кадровых вопросов, парламентского контроля и других важных вопросов государственного строительства.

**Ключевые слова:** Парламент, Верхняя палата, Конституция, Законодательство, Государственное управление.

**Рецензент:** Профессор Георгий Багатурия, Грузинский технический университет.

УДК: 351.823.1:004(477)

**Сергей Шербина, Руслана Леньо ЭКОЛОГИЧЕСКИЕ  
ОСНОВЫ АГРАРНОЙ ПОЛИТИКИ УКРАИНЫ В  
КОНТЕКСТЕ УСТОЙЧИВОГО РАЗВИТИЯ**

*В данной статье рассмотрены вопросы экологической защиты сельскохозяйственной земли и леса в Украине. Это связано с новыми изменениями в аграрном секторе экономики в контексте устойчивого развития сельской местности, где большая роль принадлежит государственному управлению в сфере охраны земли. Государство должно быть носителем экологических технологий, поэтому предложены приоритеты аграрной политики в сфере безопасного использования земли и леса в Украине.*

**Ключевые слова:** государственная политика, экологическая безопасность, экологический маркетинг, использование природных ресурсов, экологическое законодательство, агропромышленный комплекс, качество пищевых продуктов.

**Постановка проблемы.** В Украине как стране, решающей острые экологические проблемы, нет альтернативы устойчивому развитию. Чем раньше общественность и компетентные органы государственного управления сделают выбор в пользу этого пути, тем меньше вероятность развития системного кризиса, риск возникновения антропогенных катастроф и необратимых деструктивных процессов в природной среде. Для постепенного формирования сбалансированного аграрного сектора экономики Украины целесообразно разработать и практически реализовать национальную программу экологизации сельскохозяйственного производства. Главным приоритетом такой программы должно стать органическое земледелие.

**Анализ последних исследований и публикаций.** Проблемой национальной экологической безопасности в современных условиях с учетом разработки эффективных мероприятий аграрной политики занимаются ряд как иностранных (Daly H.E., Farley J., Mendoza G. A., Prabhu R.), так и отечественных специалистов, среди которых следует отметить работы Пархонского Б., Пивоварова Е., Пирожкова С. , Сухорукова А. и других.

**Цель статьи.** Целью статьи является всестороннее исследование экологической безопасности, а также определение роли государства в создании условий для содействия процессу формирования социально

и экологически ориентированных моделей землепользования (например, органического земледелия и устойчивого развития лесного хозяйства Украины).

**Изложение основного материала.** Экономические изменения в Украине, произошедшие за последние годы, значительно повлияли на структуру, характер и тенденции землепользования, усилили проблемы защиты окружающей среды и экологической безопасности государства. Однако объективно следует признать, что земельная реформа не решила поставленных задач. Из-за отсутствия целостной аграрной политики, надлежащей законодательной базы, эффективного государственного регулирования реформирование аграрного сектора экономики стало крайне политизированным, а пути перехода земли к эффективным пользователям практически заблокированы.

Текущее состояние дел в землепользовании требует решительного пересмотра аграрной политики и разработки концепции новейшей национальной стратегии в сфере землепользования, в которой роль государства должна существенно усилиться. Государственные органы власти должны создать условия и активно содействовать процессу формирования социально и экологически ориентированных региональных моделей землепользования, например, органического земледелия.

Для ведения органического земледелия сельскохозяйственные земли должны отвечать определенным требованиям относительно уровня их загрязнённости вредными веществами: пестицидами, тяжелыми металлами, радионуклидами и т.д. Специалистами Института агрохимии и почвоведения УААН был проведен анализ эколого-токсикологического состояния пахотных земель Украины и выделены зоны, пригодные для выращивания экологически чистой продукции. Исследования показали, что антропогенное загрязнение территорий в Украине имеет не сплошной, а локальный характер. Кроме того, осталась доля чистых земель, где уровень загрязненности значительно ниже по сравнению со странами Западной Европы. По этим данным, в Украине осталось четыре небольших региона, где почвы еще не загрязнены до опасных пределов и где возможно выращивание экологически чистой продукции на уровне самых строгих мировых стандартов:

- Северо-Полтавский - охватывает большую часть Полтавской области (за исключением регионов, прилегающих к городам Кременчугу и Комсомольску), северо-западные районы Харьковской области, юго-западные районы Сумской области, юго-восточные

районы Черниговской области и восточные районы Киевской и Черкасской областей (левобережная часть);

- Винничко-Прикарпатский - тянется широкой полосой около 100 км от г. Попельня Житомирской области, простирается к северу Винницкой, Хмельницкой, Тернопольской областей в направлении г. Львова;

- Юго-Подольский - включает небольшую юго-восточную часть Винницкой области, юго-западную часть Кировоградской области, север Николаевщины и северную половину Одесской области;

- Северо-восточно-Луганский - охватывает Меловский и Новопсковский районы Луганской области.

Но лишь наличия регионов, потенциально пригодных для ведения органического земледелия, еще недостаточно. Следует четко представлять, что переход от обычных (интенсивных) технологий агропроизводства к органическому земледелию (так называемый конверсионный период) является достаточно длительным процессом (по некоторым данным - от 2 до 5 лет) и сопровождается определенными рисками.

На пути крупномасштабного внедрения органического производства агропродовольственной продукции в Украине следует решить многие проблемы, среди которых, на наш взгляд, острой является низкий уровень экологической осведомленности как производителей, так и потребителей сельскохозяйственной продукции. К этой группе проблем следует отнести отсутствие соответствующих учебных курсов по теории и практике ведения органического земледелия в учебных заведениях разных уровней аккредитации. Кроме недостатка образования и экологического сознания наблюдается нежелание преодоления устойчивых стереотипов, сложившихся за длительный период интенсификации сельского хозяйства и низкий уровень инновационной активности менеджеров и государственных управленческих структур.

К институционально-правовым проблемам внедрения органического земледелия в Украине относятся:

- отсутствие соответствующей законодательной и нормативной базы, прежде всего базового закона об органическом земледелии и сертификации органической продукции, согласованного с требованиями международных стандартов ISO;

- отсутствие эффективной национальной системы сертификации и контроля органических хозяйств и производимой ими продукции;

- отсутствие объединений производителей органической продукции, таких как ассоциации, кооперативы и союзы [1];

- необходимость интеграции в международную систему стандартизации и сертификации для обеспечения доступа на внешние рынки органической продукции [9 с.137];

Опыт развития органического сельского хозяйства в мире свидетельствует о создании дополнительных рабочих мест в сельской местности, появлении новых перспектив для малых фермерских хозяйств, повышении жизнеспособности сельских общин и прочих социальных преимуществах, что чрезвычайно актуально для Украины. В перспективе органическое земледелие и животноводство позволяют согласовать и гармонизировать геоэкономические, экологические и социальные цели в области отечественного сельского хозяйства. Учитывая мировой опыт, можно утверждать, что в сфере аграрного производства органическое сельское хозяйство - это практическая реализация основных положений концепции устойчивого развития [14, с.125].

По органической продукции распространенной практикой является сотрудничество с зарубежными органами по сертификации стран целевого импорта, поскольку потребители страны-импортера в большей степени склонны доверять органическим продуктам, маркированным национальным органом сертификации. Рассмотрим ряд факторов, которые обеспечивают предпосылки для успешного внедрения стандартов качества и безопасности продовольствия как ключевой предпосылки активизации экспорта (рис. 1).



Рис. 1. Факторы внедрения системы продовольственной безопасности

Таким образом, эффективность регуляторной функции по обеспечению качества и безопасности продовольствия и уровень доверия к ней как со стороны потенциальных импортеров, так и отечественных потребителей является одной из ключевых предпосылок успеха национальных производителей агропродовольственной продукции на зарубежных рынках. Поэтому развитие стратегии, ориентированной на повышение эффективности регулирования в указанной сфере, в частности, путем соответствующего международным нормам законодательного обеспечения, мониторинга и контроля должно усилить экспортные перспективы.

Для определения механизмов государственного управления по внедрению технологий органического производства в Украине необходимо обеспечить широкое партнерство с целью объединения интересов и потребностей заинтересованных сторон и привлечения к активному сотрудничеству сельскохозяйственных производителей и их ассоциаций, органов государственного управления всех уровней, частных консультационных компаний и сертификационных учреждений, организаций потребителей научных и образовательных учреждений, а также неправительственных организаций как экологической направленности, так и занимающихся вопросами институционального развития, консультативной деятельностью и разработкой стратегических программ для агропромышленного комплекса Украины.

В перспективе органическое земледелие позволяет согласовать и гармонизировать экономические, экологические и социальные цели в области сельского хозяйства. Общественные блага от реализации включают, в частности, следующее:

- экологические преимущества - минимизация негативного влияния на окружающую среду путем предотвращения деградации земель, сохранения и восстановления их естественного плодородия; прекращение загрязнения водных бассейнов и подземных вод, очищение источников питьевой воды от токсичных химикатов [10 с. 139];
- сохранение биоразнообразия и генетического банка растений и животных, отказ от доминирования монокультур, естественные условия содержания животных [5];
- минимизация негативных внешних факторов как при потреблении, так и при производстве сельскохозяйственной продукции.

По оценкам специалистов, доля земельных ресурсов в составе производительных сил государства составляет в среднем более 40%. Вместимость территориального пространства Украины по биоклиматическому и землересурсному потенциалу достаточна для нормальной жизни 150-160 млн. человек.

Одновременно в Украине сложился чрезвычайно высокий уровень освоения жизненного пространства: в хозяйственное использование вовлечено более 92% ее территории. Только около 5 млн. га (почти 8%) находятся в естественном состоянии (леса, болота, озера, реки, горы). По плотности населения Украина приближается к средневропейскому уровню.

В Украине 82% площади земель используются как главное средство производства в сельском и лесном хозяйстве. В частности, в сельхозпроизводство вовлечено 71,2% территории суши. Вместе с тем внутриотраслевое использование земельной территории в агропромышленном комплексе (АПК) имеет экстенсивный характер. Для внутрихозяйственного строительства, других непродовольственных нужд занято 5-7% общей площади продуктивных земель. В составе сельскохозяйственных угодий - 44,6% пахотных земель. Основная база земледелия размещается на черноземах и почвах черноземного типа - 70,4% площади пахотных земель.

Одной из важнейших стратегических задач государства является выделение в составе земельного фонда страны земель общего назначения, обеспечения управления использованием этих земель и сбора соответствующих платежей в государственный бюджет. В земельном законодательстве следует расширить право государственной собственности на землю. Без этого государство не может в полной мере обеспечивать оборону и безопасность, защищать свои границы, развивать единую инфраструктуру, транспорт и связь, охранять природу. Речь идет, по сути, об экономическом потенциале и целостности государства.

В 1991-2009 годах было принято более десяти законов, в которых формально провозглашена государственная, частная и муниципальная собственность на землю. Однако конкретных механизмов отнесения земельных участков к соответствующему виду собственности не существует, что приводит к многочисленным судебным спорам, количество которых будет неизбежно увеличиваться. В государственной собственности необходимо законодательно и организационно закрепить наиболее ценные земли, то есть примерно 32% от общего земельного фонда, и наладить управление ими. После размежевания земель возрастет роль государства, с одной стороны, в

создании конкурентной рыночной среды для поддержки эффективного собственника земли, а с другой - в создании единого правового и информационного пространства для государственного управления всем земельным фондом Украины.

Естественно, что при наличии различных собственников земли на государственное управление возлагаются скорее регулятивные и координирующие функции. Должна быть осуществлена большая работа по созданию в новых условиях инструментария государственного управления земельным фондом страны - государственного земельного кадастра, государственного контроля за использованием земель, землеустройства, оценки и мониторинга земель. Необходимо законодательно закрепить правило: принимать государственные управленческие решения и реализовывать права собственника на государственном, региональном и местном уровнях можно только на основе материалов прогнозирования и планирования землепользования.

Еще одна очень сложная проблема, стоящая перед государством, заключается в реформировании сельскохозяйственного землепользования с учетом необходимости быть самодостаточными в производстве продовольствия. Исторически Украина всегда была крупным экспортером зерна, масла, мяса, но наш хлебный экспорт был скорее признаком промышленной отсталости, чем земледельческого прогресса.

Следующей важной для реформирования земельных отношений задачей является осуществление на всей территории государственной кадастровой оценки земли и обеспечение перехода на систему земельных платежей, формирующихся исходя из рентной стоимости земли.

Анализ существующей в Украине системы земельных платежей показывает, что она не соответствует современным реалиям создания системы экономического регулирования земельных отношений и управления земельными ресурсами. Земельными платежами охвачено менее трети земельного фонда, ставки платежей низкие; существует огромное количество льготников, освобожденных от платежей, средства от земельных платежей используются нецелевым образом; ограниченным является набор форм оплаты за землю.

Важным направлением совершенствования государственной политики в сфере природопользования является комплекс мероприятий по сохранению и эффективному использованию лесного потенциала Украины. Такая политика согласуется с Программой по сохранению многогранной роли и разнообразных функций всех видов

лесов планеты. Также соответствующие принципы ведения лесного хозяйства определены на конференции в Рио в «Принципах лесоводства» [3]. Основываясь на них, концепции устойчивого развития лесной отрасли можно сформулировать как управление лесами и использование лесных угодий такими способами и с такой интенсивностью, при которых обеспечивались бы формирование и функционирование механизма государственного управления лесным хозяйством. В Украине на современном этапе развития характерным остается экстенсивный характер природопользования и ресурсопотребления. В Украине леса находятся в зоне промышленного загрязнения, а их общее состояние не соответствует эколого-экономическим требованиям. Особую актуальность лесные проблемы Украины получили в связи с формированием катастрофических паводков на реках Карпатского региона, широкомасштабным проявлением эрозионных процессов, радиоактивным загрязнением территории и т.п. Поэтому для повышения продуктивности лесов, улучшения их полезных свойств и удовлетворения потребностей общества в лесных ресурсах важное значение имеют воспроизводство, охрана и защита лесов.

Ухудшение состояния лесов в Украине на сегодняшний день является одной из наиболее актуальных тем. Вырубка лесов в Украине нелегально, особенно в зимний период, достигает критического уровня. Если на государственном уровне не будут приняты действенные меры по восстановлению лесов и расширению их площадей, то Украина просто окажется перед экологической катастрофой. Потому что потеря лесов - это не просто потеря зеленого массива, а это серьезные изменения уровней водоемов, изменения уровней рек, а также это активизация эрозионных процессов. В Украине до сих пор не внедрена европейская система учета древесины, которая предусматривает контроль от момента высадки леса до его переработки. Истребление леса происходит в больших масштабах, по хорошо отработанным схемам. Назначается санитарная рубка, вырубается лучшая древесина, записывается как дрова. Или большие деревья перепродают частной фирме, которая дальше продает ее как «деловую», в том числе за границу. Эксперты убеждены, что одно только внедрение в Украине европейских требований к лесозаготовке ситуацию не решит, нужно увеличить штрафные санкции, изменить стандарты касательно вырубки лесов, установить контроль государственных органов за соблюдением законодательства относительно вырубки, а также посадкой новых

лесных массивов. Внедрить электронный учет древесины при реализации новогодних елок во всех областях Украины [7, с. 156]. Главной причиной страшных наводнений на Закарпатье, имевших место в последние годы, была признана вырубка слишком больших объемов леса на склонах гор. Эти леса не только задерживали влагу, но и препятствовали разливам рек и разрушению горных склонов.

Погоня за экономической эффективностью, сверхприбылью, быстрым заработком привела к реализации целого ряда экологически опасных проектов в народном хозяйстве, внедрению на предприятиях технологий, которые не учитывали последствий их деятельности для окружающей среды, выпуску отдельных видов продукции, которая имела и имеет негативное влияние на здоровье людей.

Приведенное выше свидетельствует о необходимости проведения ряда целенаправленных мероприятий по экологизации лесного хозяйства в таких основных направлениях [8]:

- изучение экологических последствий лесопользования;
- внедрение принципов устойчивого лесопользования и экосистемного подхода в процессе реформирования и устойчивого развития лесного хозяйства;
- подготовка предложений по совершенствованию природоохранной части действующих Правил рубок;
- проведение эффективного мониторинга состояния лесов;
- не вырубать леса в объеме, превышающем их прирост;
- экологическое воспитание населения, информирование общественности о состоянии лесного хозяйства.

Лесная отрасль должна сохранить такие приоритеты развития: сохранение и расширенное воспроизводство лесов, рациональное неистощающее лесопользование, сохранение научной школы украинского лесоводства, развитие и внедрение новейших технологий лесозаготовок и лесопереработки, расширение площадей заповедных и рекреационных территорий.

Экологическая безопасность лесов зависит как от природных, так и антропогенных факторов, среди которых основное влияние оказывает лесохозяйственная деятельность. На стадии заготовки лесной продукции должен обеспечиваться принцип воспроизводства лесных ресурсов и соблюдение принципов устойчивого природопользования. Согласно этому, лесная продукция должна быть заготовлена по соответствующим требованиям и стандартам, которые продиктованы принципами сбалансированного лесопользования. На сегодня сбалансированное лесопользование регламентируется перечнем требований и критериев, которые должны обеспечить

неистошающее использование лесных ресурсов, сохранение экологической и социальной роли лесов. В современных условиях организация лесопользования предполагает комплексное использование лесных ресурсов: заготовку древесины, технического и пищевого сырья при одновременном сохранении и повышении водоохранно-защитных и санитарно-гигиенических функций леса. Расчет объемов лесопользования должен осуществляться на основе лесных требований и нормативов, которые должны обеспечить сохранение лесных ресурсов на перспективу. Учитывая это, во многих странах мира разрабатывают и внедряют принципы лесной сертификации, которая учитывает не только качество заготовленной продукции, но и соблюдение правил и требований устойчивого использования лесов и минимизацию негативного влияния на окружающую среду. При этом качество лесной продукции обеспечивается применением стандартов лесной сертификации. Целью проведения лесной сертификации является поддержание сбалансированного развития лесного хозяйства, которое обеспечивается благодаря наиболее оптимальному сочетанию экологической, экономической и социальной составляющей. Лесная сертификация также является инструментом управления лесной политики европейского и мирового уровней.

Ценность лесов для всего общества измеряется не только его способностью производить древесину - ценное сырье для многих отраслей народного хозяйства. Леса являются источником многих положительных экологических и социальных факторов, которые прямо или косвенно влияют на жизнедеятельность человека и состояние всей окружающей среды. Государственное управление лесным хозяйством должно быть ориентировано на многоцелевое использование лесных ресурсов и их полезных функций [16, с.340].

Ни качественное состояние лесов, ни лесистость Украины не являются оптимальными для выполнения ими в полной мере экологических, социальных и ресурсных функций. Нужно увеличить средний уровень лесистости территории страны, который составляет 15,7%, что на 4,3% ниже оптимального значения, а по сравнению со странами Европы (лесистость Польши - 28,6%, Германии - 30,1%, Италии - 32,7%, Швеции - 60,3%, Финляндии - 64,7%) считается недостаточным.

Для того, чтобы достичь оптимального уровня лесистости в Украине (который в среднем должен составлять 20% с региональной корректировкой), нужно засадить растительностью около 2,4 млн. га территории. Низкий уровень лесистости Украины объясняется

интенсивными процессами земле- и лесопользования, особенно 2-й половине XX века, в связи с чем нарушилась экологически допустимая структура земельного фонда [6, с.57] Леса на территории Украины расположены очень неравномерно. Они сконцентрированы преимущественно в Полесье и в Украинских Карпатах. Лесистость в различных природных зонах имеет значительные отличия и не достигает оптимального уровня, при котором леса позитивно влияют на климат, почвы, водные ресурсы, смягчают последствия эрозионных процессов, а также обеспечивают получение большего количества древесины.

В Украине распашка земель сельскохозяйственного назначения составляет 81%, а всей территории страны - 57%. Вследствие несоблюдения противоэрозионных мероприятий, выращивания технических культур на эрозионно опасных землях водная и ветровая эрозия охватила более трети сельскохозяйственных угодий и пашни.

**Выводы.** Перспективой устойчивого развития должен стать такой подход к структуре народного хозяйства, производства и потребления, в рамках которого биосфера рассматривается не как ресурс, а как фундамент жизни, обеспечения рационального природопользования и экологической безопасности - не как вынужденная мера, а неотъемлемая часть общей политики государства, элемент каждого управленческого решения и стиль жизни всех сознательных граждан.

Итак, главной стратегией развития лесного хозяйства является переход на сбалансированное использование лесных ресурсов на экосистемной основе, которое предусматривает межсекторальное согласование интересов субъектов лесопользования в соответствии с задачами международной природоохранной политики - создание механизмов интегрированного управления природными ресурсами на экосистемной основе с участием всех заинтересованных сторон. Сбалансированность в этом контексте следует понимать как обеспечение взаимосвязанного соблюдения экономической эффективности, экологической безопасности и социальной приемлемости использования лесных ресурсов.

Для обеспечения выхода из нынешней сложной ситуации необходимо осуществить следующие шаги:

- срочно принять конституционный закон «Основы государственной политики в сфере регулирования отношений по использованию и охране земельных, сырьевых и биоклиматических ресурсов Украины»;
- разработать и срочно принять пакет законов по регулированию отдельных составляющих земельных отношений (разграничение

земель, оценка, землеустройство, охрана, аренда, залог, межевание и съемки, обследования, соглашения);

- создать единый государственный орган по управлению земельными ресурсами как объектом уникальным, многофункциональным и структурно сложным. В него должны входить как составные части Государственная земельная инспекция, Государственное агентство управления государственными землями, Государственный департамент земельного кадастра и регистрации прав на землю, Украинский государственный земельный банк, Земельный (межевой) суд Украины;

- разработать и принять долгосрочную Национальную целевую программу охраны земель Украины, обратив особое внимание на предотвращение деградации земель, развитие сельскохозяйственного землепользования, проблему расселения, земельные платежи на рентной основе, устранение криминализации земельного рынка;

- разработать, принять и обеспечить реализацию региональных целевых программ обустройства и эффективного использования ресурсов земли, для чего осуществить разграничение земельного фонда Украины по уровням собственности (государственная, региональная, муниципальная);

- создать единую информационную систему земельного кадастра и регистрации прав на землю и недвижимое имущество и выполнить государственную экономическую (денежную) оценку всех земель Украины по единой унифицированной методике;

Реализация этих мер позволит эффективно использовать огромный земельно-ресурсный потенциал Украины.

## **Литература**

### **References:**

1. Земельний кодекс України: Закон України № 2768 від 25.10.01 / [Електронний ресурс] – Режим доступу: – <http://www.rada.gov.ua>.
2. Лісовий Кодекс України // Кодекси України. - К.: Юрінком Інтер. – 1997. – Кн. 3. – с. 104-131.
3. Програма дій "Порядок денний на XXI століття". -К.: Інтелсфера, 2000. – 360 с.
4. Про плату за землю: Закон України № 290 від 10.07.96 / [Електронний ресурс] – Режим доступу: – <http://www.rada.gov.ua>.
5. Про охорону земель: Закон України № 962 від 19.06.2003 / [Електронний ресурс] – Режим доступу: – <http://www.rada.gov.ua>.

6. Грановська Л.М.<sup>49</sup> Еколого-збалансоване природокористування в умовах поліфункціональності територій / Л.М. Грановська – Херсон: Видво ХДУ, 2009. – 414 с.
7. Дейнека А.М. Лісове господарство: еколого-економічні засади розвитку / А.М. Дейнека. – К.: Вид-во "Знання", 2009. – 350 с.
8. Державна цільова програма розвитку українського села на період до 2015р./ [Електронний ресурс]. – Режим доступу: [www.minagro.kiev.ua/page/3800](http://www.minagro.kiev.ua/page/3800).
9. Малиш Н. А. Організаційний механізм формування державної екологічної політики / Н. А. Малиш // Право та державне управління : зб. наук. пр. – Запоріжжя : КПУ, 2011. – № 2. – С. 136–139.
10. Малиш Н.А. Ефективні механізми формування державної екологічної політики: монографія / Малиш Н. А. – К.: "К.І.С.", 2011. – 348 с.
11. Розпутенко І.В. Доктрина нацбезпеки. / І.В.Розпутенко // Енциклопедія державного управління: у 8 т./ Нац. акад. держ. упр. при Президенті України; наук.-ред. колегія: Ю.В. Ковбасюк (голова) та ін. – К.: НАДУ, 2011. – Т.1. Теорія державного управління. / Наук.-ред. колегія: В. М. Князев (співголова), І.В. Розпутенко (співголова) та ін. – 2011. - С. 179-180.
12. Сабадир А.І., Зібцев С.В. Першочергові кроки в напрямку екологізації технологій лісового господарства України // Наук. вісн. НАУ. – К., 2000.- Вип. 25. –С. 196-204.
13. Фурдичко О. І.(4) Екологічна безпека – передумова економічної стабільності // Лісовий і мисливський журнал. – 2000. - №4-5. –С. 14-16.
14. Daly H.E., Farley J. Ecological economics: principles and applications. – Washington: Island Press, 2014. – 455 p.
15. Mastrand К. платежів за екологічні послуги: обстеження і Оцінка даної схеми / К. Mastrand, М.Раquin. - Міжнародне Центр. Монреаль, вересень. - 2014 рік. - 60 с.
16. Mendoza G. A., Prabhu R. Qualitative multi-criteria approaches to assessing indicators of sustainable forest resource management // Forest Ecology and Management. – 2013. – № 174. – P. 329 – 343.
17. Nabuurs G. European forests in the 21-st century: impacts of nature-oriented forest management assessed with a large-scale scenario model. - Wageningen: Alterra Green World Research, 2011. – 130 p.

**Рецензент:** Профессор Ирина Петрова, доктор экономических наук, заведующая кафедрой менеджмента и маркетинга Университета экономики и права “КРОК” (Украина).

სერგეი შერბინა, რუსლანა ლენიო  
უკრაინის აგრარული პოლიტიკის ეკოლოგიური საფუძვლები  
მდგრადი განვითარების კონტექსტში

### რეზიუმე

სტატიაში განხილულია უკრაინაში სასოფლო სამეურნეო სავარგულებისა და ტყეების ეკოლოგიური დაცვის საკითხები. ეს უკავშირდება სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების კონტექსტში ახალ ცვლილებებს ეკონომიკის აგრარულ სექტორში, სადაც სახელმწიფოს დიდი როლი ენიჭება მიწის დაცვის სფეროში. სახელმწიფო უნდა იყოს ეკოლოგიური ტექნოლოგიების მატარებელი, ამიტომაც იქნა შეთავაზებული აგრარული პოლიტიკის პრიორიტეტები უკრაინაში მიწისა და ტყის გამოყენების უსაფრთხოების სფეროში.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო პოლიტიკა, ეკოლოგიური უსაფრთხოება, ეკოლოგიური მარკეტინგი, ბუნებრივი რესურსების გამოყენება, ეკოლოგიური კანონმდებლობა, აგროსამრეწველო კომპლექსი, კვების პროდუქტების ხარისხი.

რეცენზენტი: პროფესორი ირინა პეტროვა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტ “კროკი“-ს მენეჯმენტისა და მარკეტინგის კათედრის გამგე.

## **Sergiy Shcherbyna, Ruslana Lenyo** **ECOLOGICAL BASIES OF UKRAINE’S AGRARIAN POLICY IN** **THE CONTEXT OF SUSTAINABLE DEVELOPMENT**

### **Summery**

Questions of ecological protection of agricultural land and forest in Ukraine are considered in given article. It is connected with new changes in agrarian sector of economy in the context of sustainable developmrrnt of countryside where the huge role belongs to the public administration in the sphere of land protection. The state should be a carrier of ecological technologis, thereupon the priorities of agrarian policy in the sphere of land and forest safety of Ukraine are proposed.

**Keywords:** public policy, ecological security, ecological marketing, natural resources using, ecological legislation, agricultural complex, food quality.

**Reviewer:** Professor Irina Petrova, Doctor of Economic Sciences, Supervisor of Management and Marketing department of the University of Economics and Law “KROK” (Ukraine).

ბიორბი ბალათშირა, ბესიკ კაიშაური ადგილობრივი  
თვითმმართველობის პოლიტიკური და  
ორგანიზაციული საფუძვლები

„თვითმმართველობა უკეთესი წამალია ხალხის ყოველგვარის საჭიროებისა. საცა უნდა დავრგათ, იგი ყველგან ხეირობს... ყოველი სახელმწიფო, რიგიანს წესზედ ცოტად თუ ბევრად დამდგარი, ნაწილ-ნაწილ არის დაყოფილი, რომ მოვლა და პატრონობა ადვილი იყოს“.  
ილია ჭავჭავაძე (1.33)

განხილულია ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები. აღნიშნულია მუნიციპალური, ანუ ადგილობრივი დემოკრატიის უნიკალურობა, როგორც ქვეყნის განვითარების ეფექტური მართვის მექანიზმი დემოკრატიულად მართვის პროცესში. დემოკრატიულ ქვეყნებში ხელისუფლების დეცენტრალიზაციის აუცილებლობასა და საერთაშორისო მნიშვნელობაზე მეტყველებს ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, რომელსაც შეუერთდა საქართველოც და ამით საჯარო მმართველობის ორიენტირად აიღო სახელმწიფო საქმეების წარმართვაში მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა.

სტატიაში საუბარია იმ დემოკრატიულ პროცესებზე, რომლებიც შეფერხებით მიმდინარეობს საქართველოში და რომლის გამოსწორებაც აუცილებელია ევროპული ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისთვის.

საკვანძო სიტყვები: ადგილობრივი თვითმმართველობს, დემოკრატია, დეცენტრალიზაცია, მოქალაქეთა ჩართულობა თვითმმართველობაში, თვითმმართველობის გაავლენა აღმასწორებელ ხელისუფლებაზე, დეცენტრალიზაციის ფაქტორები

შესავალი

ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობა დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების უმთავრესი ინსტრუმენტია და შესაბამისად, ძლიერი სახელმწიფოს საფუძველიცაა. ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქვეყნების საჯარო მმართველობის გაუმჯობესების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს პოლიტიკური გადაწყვეტილებების პროცესში მოქალაქეთა თანამონაწილეობის უზრუნველყოფა, რაც თავის მხრივ,

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი და ამოცანაა.

ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც ქვეყნის ეფექტურად მართვის საფუძველი მე-19 საუკუნიდან გახდა პოლიტიკოსთა და მეცნიერთა კვლევის საგანი. ამ დროს მოღვაწე მეცნიერებმა ლორენც შტეინმა და რუდოლფ გნეისტიმ პირველებმა შეიმუშავეს თვითმმართველობის სახელმწიფო თეორია(2,29). ადგილობრივი თვითმმართველობის თეორიის განვითარებაში დიდ წვლილი შეიტანა აგრეთვე ალექსის დე ტოკვილმა, რომელმაც აშშ-ის გამოცდილების გათვალისწინებით განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ადგილობრივი ინსტიტუტების საჭიროებას: „...ეს ის მკვიდრი საყრდენია, რომელთა გარეშე დემოკრატიულ სახელმწიფოს არავითარი გარანტია არ გააჩნია დესპოტიზმისგან თავის დასაღწევად“ (3, 13 ). ტოკვილი სათემო ინსტიტუტებს ისეთივე როლს აკისრებს თავისუფლების დამკვიდრებაში, „...როგორც დაწვებითი სკოლებია მეცნიერების განვითარებაში...სათემო ინსტიტუტების გარეშე ხალხმა შეიძლება შექმნას თავისუფალი მთავრობა, მაგრამ ასეთ ხალხს არ ექნება თავისუფლების სულისკვეთება“ (3,57).

ადგილობრივი თვითმმართველობის რეალურად დამკვიდრებას სახელმწიფო მშენებლობის პროცესში ქართველი მოღვაწეებიც აქტიურად ეხმაურებოდნენ. ილია ჭავჭავაძე სტატიაში „ცხოვრება და კანონი“ განიხილა სახელმწიფოს მშენებლობის ალტერნატივები და უპირატესობა მიანიჭა ქვეყნის ისეთ მმართველობას, „...საცა მთავრობას ხელთ უპყრია მარტო მთელის სახელმწიფოს საჭიროების საქმენი და ყოველივე სხვა კი საზოგადოებას გაუსაკუთრებია...ეს საზოგადოების საჭიროების საქმენი, ადგილობრივად განაწილებულნი განიგებიან უსათოდ ადგილობრივთა მოხელეთა შემწევობით, რომელთაც ირჩევენ თვით ადგილობრივთა მცხოვრებთა საზოგადოება და რომელნიც ამავე საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელნი არიან. ამგვარ მმართველობას თვითმმართველობას უწოდებენ, რადგან ამ შემთხვევაში თითოეული ნაწილი ერთისა და იგივე სახელმწიფოთა თავის საკუთარ საქმეს თვით კპატრონობს, თვით უვლის და თვით კმართავს...ამგვარი მმართველობის დედა-აზრი იგია, რომ ადგილობრივნი საქმენი თვით ადგილობრივთა მცხოვრებთაგან განიგებოდეს“ (1,36).

უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძემ იმავე სტატიაში, ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ დააყენა საკითხი სახელმწიფოს მართვის პროცესში სუბსიდირების პოლიტიკის აუცილებლობის შესახებ რომლის თანახმადაც, ძალაუფლება უნდა ხორციელდებოდეს მოქალაქეებთან ყველაზე ახლო მდგომ ხელისუფლების მიერ, ხოლო ცენტრალური ხელისუფლება ხელს უნდა უწყობდეს მას ფინანსურად. გაივლის დრო და სუბსიდირების პრინციპი გახდება დემოკრატიისა და ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პრინციპებზე დაფუძნებული ევროპის მშენებლობის საფუძველი.

1985 წელს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები „დარწმუნდნენ რა იმაში, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არსებობას, რომლებსაც გააჩნიათ რეალური პასუხისმგებლობა, შეუძლია უზრუნველყოს ეფექტური და ამასთან, მოქალაქესთან დაახლოებული მმართველობა“ (4,208) მიიღეს ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. ამასთანავე, აღინიშნა რომ ადგილობრივი ორგანოები წარმოადგენენ „ნებისმიერი დემოკრატიული რეჟიმის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს“ და ეფექტური საჯარო მართვის მთავარ პრინციპად აღიარებულ იქნა მოქალაქეთა მონაწილეობა სახელმწიფო საქმეების წარმართვაში. საქართველოს ხელისუფლებამ 2004 წლის 26 ნოემბერს გამოხატა პოლიტიკური ნება და №515 დადგენილებით, შეუერთდა ზემოთ ხსენებულ ევროპულ ქარტიას (5,1);

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობა დემოკრატიული პრინციპების მიხედვით ხორციელდება, მაინც, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანა დემოკრატიული განვითარების გზაზე ჯერ კიდევ მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. ერთ-ერთი ასეთი გამოწვევაა განვითარებელი ადგილობრივი თვითმმართველობა, რის გამომწვევ მიზეზებიც ქვემოთ არის განხილული.

### 1. ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური საფუძვლები

ქვეყნის დემოკრატიული განვითარება შეუძლებელია ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების გარეშე. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა, ანუ მუნიციპალური დემოკრატია ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის ერთ-ერთი პრიორიტეტია

სახელმწიფოს ეფექტური მართვა დამოკიდებულია თვითმმართველობის მართვის ეფექტურობაზე, რომელიც ერთი მხრივ დამოკიდებულია ცენტრალური ხელისუფლების სწორ პოლიტიკაზე და მეორე მხრივ, დიდი მნიშვნელობა აქვს კარგ მმართველობას თვითმმართველობაში, რაც შეუძლებელია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეების აქტიური ჩართვის გარეშე. ეს დებულება გათვალისწინებულია საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაშიც. თანახმად კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილისა, „თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით“ (6,2).

აღნიშნულ კონსტიტუციურ ნორმაში ორი რამ არის მნიშვნელოვანი: ერთი ის, რომ ადგილობრივი საქმეების მოწესრიგებაში პრიორიტეტი ენიჭება ადგილობრივ თვითმმართველობას და მეორეც - ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს მოქალაქეების უფლება და შესაძლებლობა. ეს არ არის არც თვითმმართველი ორგანოების, არც თანამდებობის პირების უფლება, არამედ - ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს მოქალაქეების უფლება.

აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებში ადგილობრივი თვითმმართველობა ადამიანის უფლებათა ნუსხაშია შესული, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყნებში აღნიშნული უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ ადგილობრივ მცხოვრებს, მათ შორის უცხოელებსა და მოქალაქეობის არ მქონე პირებსაც. საქართველოს კონსტიტუციამ ეს უფლება არ ასახა ადამიანთა უფლებებში, არამედ დააფიქსირა როგორც მოქალაქის პოლიტიკური უფლება.

ადგილობრივი თვითმმართველობის მნიშვნელობაზე მეტყველებს აგრეთვე ევროპის საბჭოს მიერ მიღებული საერთაშორისო დოკუმენტი „ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ (5). საქართველო 2004 წელს შეუერთდა ზემოთ ხსენებულ ევროპულ ქარტიას და მისი ნორმები და პრინციპები საქართველოს საკანონმდებლო აქტებშიც აისახა, თუმცა წლების განმავლობაში ეს ნორმები და პრინციპები მხოლოდ დეკლარირებულ დებულებებად რჩებოდა. ცხადია, რომ დემოკრატიის განვითარებისთვის მხოლოდ დემოკრატიული კანონებისა და ინსტიტუტების

არსებობა საკმარისი არ არის, არამედ საჭიროა თვით დემოკრატიული პროცესების დამკვიდრება, რაც, მიზეზთა გამო ხშირად შეფერხებულია. თუ ქვეყანაში არ არის უზრუნველყოფილი მოქალაქეთა რეალური მონაწილეობა სახელმწიფოს საქმიანობაში, მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ ასეთ ქვეყანაში ხალხის სუვერენიტეტი, როგორც კონსტიტუციური პრინციპი ჯერ კიდევ არ არის სათანადო დონეზე რეალიზებული. სამწუხაროდ, ასეთ ქვეყნებს შორისაა საქართველოც, რისი თვალსაჩინოდ ადასტურებს ადგილობრივი თვითმმართველობის ისტორია საქართველოში.

მიუხედავად 2004 – 2005 წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების და 2006 წელს ჩატარებული ადგილობრივი არჩევნებისა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის ნორმა-პრინციპები საქართველოში არსებობს მხოლოდ დეკლარაციის დონეზე. ცენტრალური ხელისუფლება კვლავაც აქტიურად ერეოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა რეალიზაციის პროცესში, რითაც სისტემატიურად არღვევდა ევროპული ქარტიის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნას, რომლის თანახმადაც: „ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, კანონის ფარგლებში აქვთ სრული თავისუფლება განახორციელონ თავიანთი ინიციატივა ნებისმიერი საკითხის მიმართ, რომელიც არ გამოირიცხება მათი კომპეტენციიდან“ (4.209).

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ახლად არჩეულმა ხელისუფლებამ ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად მიიჩნია რეგიონალური პოლიტიკის განხორციელება. 2014 წელს ძალაში შევიდა საქართველოს ორგანული კანონი: „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ (7), რომელმაც დღის წესრიგში დააყენა თვითმმართველობის ეფექტიანი რეალიზაციისთვის აუცილებელი მთელი რიგი საკითხები, მ.შ.:

- თვითმმართველობებში მოსახლეობის მონაწილეობა და დასახლებებში საზოგადოებრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბების საკანონმდებლო საფუძვლების შექმნა;
- მოსახლეობის მიერ პირდაპირი წესით გამგებლის (მერის) არჩევა და მისი ძალაუფლების დაბალანსება ქმედითი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ;

• ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური ავტონომიის უზრუნველყოფა; და სხვ.

ყველაზე მთავარი, რასაც ახალი რეფორმა ითვალისწინებს ეს არის ევროპული ქარტიის პრინციპის უზრუნველყოფა სუბსიდირების პოლიტიკის განხორციელებით.

გარდა ამისა დემოკრატიული სახელმწიფოს კარგი და ეფექტური მართვა (ე.წ. Good Governance) შეუძლებელია დეცენტრალიზაციის პრინციპის გარეშე. „კარგი მმართველობა“ აქცენტირებას აკეთებს მთელი საზოგადოებრივი სისტემის რეგულირებაზე და გამოხატავს „პოლიტიკური ადმინისტრაციული სისტემის გარკვეულ ხარისხს... მის ფარგლებში განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს სამართლებრივი სისტემის გაუმჯობესება, საჯარო ადმინისტრაციული ქმედუნარიანობის ამაღლება, მოქალაქეთა პოლიტიკურ პროცესებში თანამონაწილეობის გააქტიურება და სოციალური საბაზრო ეკონომიკის განვითარების საკითხები“ (8.210). რა ფაქტორები ამართლებს დეცენტრალიზაციის პოლიტიკას? ენდრიუ ჰეივუდის თანახმად (9.222) „დეცენტრალიზაცია, ეს არის უმაღლესი სახელმწიფო ორგანოებიდან ძალაუფლების და პასუხისმგებლობის დელეგირების გზით ადგილობრივი ავტონომიის გაფართოება, რომელსაც თან სდევს:

თანამონაწილეობა: ადგილობრივი თუ რეგიონალური ხელისუფლება ცენტრალურზე უფრო ეფექტიანია, როცა საქმე მოქალაქეთა საკუთარ სათემო პოლიტიკურ ცხოვრებაში თანამონაწილეობის შესაძლებლობათა გაფართოებას ეხება.

ხელმისაწვდომობა: პერიფერიული ინსტიტუტები, როგორც წესი, უფრო ახლოს არიან ხალხთან და მისი მოთხოვნების გაგებაც უფრო სწრაფად შეუძლიათ.

კანონიერება: როცა ესა თუ ის გადაწყვეტილება ადგილობრივ დონეზეა მიღებული, მეტი შანსია ხალხმა იგი უფრო გასაგებად და, აქედან გამომდინარე, კანონიერად აღიაროს.

თავისუფლება: დეცენტრალიზაცია – სახელისუფლებო ძალის დანაწილებით – თავისუფლებას იცავს და კონტროლისა და ბალანსის მთელ სისტემას ქმნის. პერიფერიული ორგანოები არა მარტო ერთიმეორეს, არამედ ცენტრალურ ხელისუფლებასაც უწყვენ მეთვალყურეობას“.

ამასთანავე აუცილებელია მოქალაქეობრივი ჩართულობის უზრუნველყოფა.

ადგილობრივი თვითმმართველობა განუვითარებელია საქართველოში საჯარო მოხელეთა მცირე გამოცდილებისა და არაკომპეტენტურობის გამო, აგრეთვე ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებულებისმაგნე ტრადიციების გამოც. საქართველოს მსგავსად ტრანსფორმაციის პროცესში მყოფ სახელმწიფოებათა გამოცდილების გათვალისწინებით ჩანს, რომ კარგი მმართველობის უზრუნველყოფისთვის უპირველესად საჭიროა საჯარო მმართველობის გაუმჯობესება და მართვის ეფექტიანობის ამაღლება;

ასევე მნიშვნელოვანია: სახელმწიფო და ადმინისტრაციული საქმიანობის ხარისხის ამაღლება, რაც გულისხმობს საჯარო მოსამსახურე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას; საჯარო სექტორის გამჭვირვალებას და ინფორმაციის მოპოვების თავისუფლებას.

ამრიგად „საჯარო სამსახურის წარმატებული რეფორმის პოლიტიკური უზრუნველყოფა ძალაუფლების ლეგალურობის პრობლემის პრინციპულ გადაწყვეტას უნდა ნიშნავდეს. პოლიტიკური ძალაუფლების ლეგალურობა სახელმწიფო აღმშენებლობის ცენტრალურ, უმთავრეს პრობლემად უნდა განიხილებოდეს, ხოლო მისი გადაწყვეტა... ქართული სახელმწიფოს წინაშე სამ ურთიერთდაკავშირებულ ამოცანას აყენებს, კერძოდ:

- მმართველობის სისტემის რაციონალურ დეკონცენტრაცია-დეცენტრალიზაციას;
  - აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურულ რეორგანიზაციას;
  - საჯარო დაწესებულებებისა და მოხელეების სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ტრანსფარენტული სისტემის შექმნას“.
- (10,213)

## 2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციული საფუძვლები

„ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციული საფუძვლები წარმოადგენს სამართლით დარეგულირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომელიც ეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სტრუქტურებს, წესებს, საქმიანობის ფორმებსა და არჩევითი თანამდებობის პირების საქმიანობას.“ (2. 65)

როგორც აღინიშნა, ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში პოლიტიკური უფლებაა და ეს უფლება ეკუთვნის მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს. ამ უფლების განხორციელების მექანიზმი ორ ფორმას ითვალისწინებს:

- ერთი მხრივ, მოქალაქეებს შეუძლიათ პირდაპირი მონაწილეობის წესით გადაწყვიტონ ადგილობრივი საკითხები, მაგალითად რეფერენდუმის გზით, რაც საქართველოში არ ფუნქციონირებს. (შედარებისთვის: შვეიცარიაში საუბნო პრობლემებიც კი წყდება რეფერენდუმების გზით)

- მეორე, აპრობირებული ფორმა ხალხის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებისა მდგომარეობს წარმომადგენლების არჩევასა და ამ წარმომადგენლებისგან შექმნილი ორგანოს მეშვეობით მართვასა და გადაწყვეტილებების მიღებაში.

ზოგადად ვიცით, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებში ფუნქციონირებს წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, თუმცა „ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ თვითმმართველობის უფლების განხორციელების მთავარ სუბიექტად მიიჩნევს საბჭოებს „...რომლებიც შედგებიან პირდაპირი, თანაბარი და თანასწორი ხმის მიცემის საფუძველზე ფარული კენჭისყრით არჩეული წევრებისაგან და რომლებთანაც შეიძლება არსებობდნენ მათ წინაშე პასუხისმგებელი აღმასრულებელი ორგანოები“ (3, მუხ.3). ამ ნორმის თანახმად, აღმასრულებელი ორგანო შეიძლება არც არსებობდეს ადგილობრივ თვითმმართველობაში, მაგრამ წარმომადგენლობითი ორგანო აუცილებელი ინსტიტუტია და მას აქვს უფლება ზემოქმედება მოახდინოს აღმასრულებელ ორგანოზე.

შეიძლება გამოიყოს წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ აღმასრულებელ ორგანოზე ზემოქმედების სამი ტიპი:

1. როცა თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს უფლება აქვს ზემოქმედება მოახდინოს მხოლოდ აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელზე (არჩევა, დანიშვნა, უნდობლობის გამოცხადება...).

2. როცა თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს უფლება აქვს ზემოქმედება მოახდინოს არა მარტო აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელზე, არამედ აღმასრულებელი ორგანოს სხვა თანამდებობის პირებზეც.

3. როცა თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს უფლება აქვს არა მხოლოდ ზემოქმედება მოახდინოს

ადმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირებზე, არამედ უშუალოდ მისცეს დავალებები და უხელმძღვანელოს მათ შესრულებას. (11,20)

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონის თანახმად 2014 წლამდე საქართველოში მოქმედებდა პირველი ტიპი წარმომადგენლობითი ორგანოს მხრიდან ადმასრულებელ ორგანოზე ზემოქმედებისა, რადგან საკრებულის თავმჯდომარეს უფლება ჰქონდა საკრებულოს თანხმობით თანამდებობაზე დაენიშნა ან გაენთავისუფლებინა გამგებელი (მერი). აღნიშნული ნორმა ერთი შესევდით თანხვედრაში იყო ევროპის ქარტიასთან, მაგრამ დამახინჯებული იყო ზემოქმედების არსი. კერძოდ ადმასრულებელ ორგანოზე ზემოქმედებას ახდენდა არა წარმომადგენლობითი ორგანო, არამედ ცენტრალური ხელისუფლება (მმართველი პარტია) რომელის მითითებითაც ხდებოდა საკრებულოს თავმჯდომარის არჩევაც და გამგებლის დანიშვნაც.

ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით გამგებლის (მერის) ლეგიტიმაცია გაზრდილია საყოველთაო არჩევნების გზით, შესაბამისად შესუსტებულია წარმომადგენლობითი ორგანოს უფლება ადმასრულებელ ორგანოზე ზემოქმედებისა, თუმცა მოქმედი ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლით მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს მაინც რჩება ზემოქმედების ისეთი ფორმები, როგორცაა:

„გ.ა.) მუნიციპალიტეტის ადმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება;

გ.ბ.) ამ კანონის შესაბამისად გამგეობის/მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებების და საშტატო ნუსხების დამტკიცება;

გ.გ.) ამ კანონით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის/მერისათვის უნდობლობის გამოცხადება.“ (7,16)

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ამჟამად შერბილებული ფორმით, მაგრამ მაინც მოქმედებს ზემოქმედების მეორე ტიპი, თუმცა, ადგილობრივი თვითმმართველობის ბოლო რეფორმამ (გამგებლის/მერის) არჩევითობამ შექმნა იმის წინაპირობა, რომ ჩამოყალიბდეს ადგილობრივი თვითმმართველობის

ბიპოლარული ტიპის ინსტიტუტი, ამ შემთხვევაში აშკარად დომინირებს ორი ინსტიტუცია, რომელიც ინაწილებს ძირითად ფუნქციებს. ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობის კლასიკური სქემა სწორედ ასეთ ბიპოლარულ ტიპს გულისხმობს, როცა უფლებამოსილებები გადანაწილებულია წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს შორის“ (11,10).

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები იყოფა: მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებად და დელეგირებულ უფლებამოსილებებად. მოქმედ ორგანულ კანონში წარმოდგენილია 21 უფლება, როგორც საკუთარი უფლებამოსილება მუნიციპალიტეტისა, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ თუ უფლების გადაცემას არ მოჰყვა ფისკალური დეცენტრალიზაცია, შეაბამისი ქონებისა და ფინანსების გარეშე უფლება რჩება განუხორციელებელი. ამასთანავე, ადგილობრივი ხელისუფლების ხელში ყველაზე ქმედით ინსტრუმენტს ადგილობრივი ბიუჯეტი წარმოადგენს. მაგრამ საქართველოს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში უფრო პრიორიტეტულია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ხარჯები და არა სოციალური და ჯანდაცვითი საკითხები.

როგორც საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის (ს.ა.თ.ე.ა.) გამოკვლევიდან ჩანს ადგილობრივი პოლიტიკის მიმართულებებზე ზეგავლენას ახდენს ცენტრალური ხელისუფლება, „რადგან ადგილობრივ ბიუჯეტში ასახული არაფინანსური აქტივების ზრდის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორად ცენტრალური ბიუჯეტიდან გადმორიცხულ მიზნობრივ ტრანსფერებზე მოდის. იმ პირობებში, როცა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის უმეტესი წილი გრანტებზე მოდის, ნაკლებად სავარაუდოა ადგილობრივი ეკონომიკის ეფექტური მართვა, რადგან ცენტრალურ ბიუჯეტზე დამკიდებულება საკმაოდ დიდია“ (15, ბიულეტენი № 1) ადგილობრივ დონეზე სამოქალაქო საზოგადოების მართვის პროცესში ჩართვის ხარისხი ძალიან დაბალია, რაც თავისთავად ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელებაში მიზნების აცდენას იწვევს, ანუ ნაცვლად მოსახლეობის ყველაზე პრიორიტეტული სოციალური საჭიროებისა, ბიუჯეტის ხარჯები ხმარდება არაპრიორიტეტულ პროექტებს.

ასევე საჭიროა ბალანსის დაცვა პოპულარულობასა და კოპეტენტურობას შორის „თვითმმართველობა წარმოადგენს მოქალაქეებთან ყველაზე ახლოს მდგომ ხელისუფლებას. ამიტომ ცხადია, თვითმმართველობის ორგანოთა პოპულარობას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, მაგრამ პოპულარული გადაწყვეტილებები შეძლება ყოველთვის არ იყოს რაციონალური და კომპეტენტური“ (11,5)

უნდა იყოს თუ არა პოლიტიკურად ნეიტრალური მუნიციპალური ორგანოების გადაწყვეტილებები? ამერიკელი მეცნიერები რობერტ ბ. დენჰარტი და ჯენეტ ვ. დენჰარტი მიიჩნევენ, რომ პოლიტიკისა და ადმინისტრირების გამიჯვნა აუცილებელია - „მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკაში გადაწყვეტილებებს პოლიტიკოსები იღებენ, მათი შესრულება პოლიტიკურად ნეიტრალურ, პროფესიულ ბიუროკრატიას ევალება... პოლიტიკისა და ადმინისტრირების გამიჯვნის მაგალითია საბჭო-მენეჯერის გეგმა, როცა საბჭო შემუშავებს პოლიტიკას, ხოლო ქალაქის მენეჯერი ახორციელებს მას. ამ დროს საბჭო პოლიტიკითაა დაკავებული, მენეჯერი კი - ადმინისტრირებით“ (16,39) რადგან ადმინისტრირების პროცესი ბიუროკრატიაზეა დამოკიდებული; ბიუროკრატია კი „ინდივიდუალობის დემოკრატიულ ღირებულებებს უპირისპირდება“ (16,42).

მიგვაჩნია, რომ გამოსავალი სოციალურ კაპიტალზე დაფუძნებულ რაციონალურ ბიუროკრატიაშია, შესაბამისად: თვითმმართველობაში დასაქმებულ ბიუროკრატული აპარატის გადამზადება უნდა მოხდეს ისე, რომ ადგილობრივმა მოხელეებმა თავიანთი საქმიანობის დროს გაითვალისწინონ სოციალური ინტერესები; ორიენტირებულები იყვნენ შედეგებზე; მოქალაქეთა ინტერესებზე; - მათ ჩართულობაზე გადაწყვეტილებების მიღებაში და პატივი სცენ ინდივიდებს, ვინაიდან „ინდივიდის განვითარება დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის მთავარი მიზანია“ (16,41).

მოქალაქეთა აქტიური ჩართულობისთვის „საჭიროა ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული წარმომადგენლები გადამზადებულ იქნენ ჩართულობის საკითხებთან დაკავშირებით, რადგან სწორედ წარმომადგენლები არიან ის პირველი საფეხურის ადამიანები, ვისთანაც მოქალაქეებს აქვთ უშუალო შეხება და ურთიერთობა“ (15, ბიულეტენი № 3)

3. არსებული გამოკვლევები

ერთ-ერთი სერიოზული საკითხია საქართველოს მუნიციპალურ ურთიერთობაში არსებული გაუცხოების პრობლემა, რაც აშკარად გამოჩნდა, 2013 წელს არასამთავრობო ორგანიზაცია „სიღ“-ის მიერ ჩატარებულ კვლევაშიც. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ:

გამოკითხულთა 34% თვლის, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას არანაირი გავლენა არა აქვს მათ ცხოვრებაზე; 40,1% ადგილობრივ ხელისუფლებას აკისრებს სრულ პასუხისმგებლობას ყველა ადგილობრივ პრობლემაზე; მხოლოდ 11% მიმართავდა გამგეობას და ისიც მხოლოდ კერძო ინტერესებზე; (17)

დაახლოებით იგივე პრობლემები გამოავლინა 2014 წლის კვლევაში ფონდმა „ღია საზოგადოება - საქართველო“. აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის უმრავლესობისთვის უცნობია ინფორმაცია თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შესახებ; მოსახლეობისთვის ასევე უცნობია - როგორ დასვას პრობლემა და როგორ გაერთიანდეს პრობლემის გარშემო; როგორ დააყენოს საკითხი თვითმმართველობის წინაშე; რა უფლებები აქვთ თვითონ და როგორ უნდა განახორციელონ ეს უფლებები ადგილობრივ თვითმმართველობაში; როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ ადგილობრივ ხელისუფლებასთან; (18,11)

კვლევებმა ისიც გამოავლინა, რომ თვითმმართველობის მოხელეები მოქალაქეების მიმართ არ იჩენენ მეგობრულ დამოკიდებულებასა და პატივისცემას; რადგან თანამშრომლობა არ ხდება, მოსახლეობაც თვლის რომ პროექტების შემუშავებასა და სხვა ინიციატივებს აზრი არა აქვს, რამდენადაც თვითმმართველობის მიუკერძოებელი გადაწყვეტილებებისადმი არ არსებობს ნდობა.

4. წარმატებული პროგრამები

ძალიან მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამდებობის პირების და საკრებულოს წევრების მხრიდან ანგარიშგების ფორმალურობა ან საერთოდ არ არსებობა. საბედნიეროდ გამოვლინდა წარმატებული ჩართულობის რამდენიმე ფაქტი როცა თვითმმართველობა საზოგადოებას პარტნიორად აღიქვამს და მზად არის მოსმენისათვის.

ერთ-ერთი ასეთი იმედის მომცემი საქმიანობა არის „სოფლის მხარდამჭერი პროგრამა“ რომელიც მთლიანად დაფუძნებულია მოქალაქეთა მონაწილეობაზე და მათ მიერ ხდება პროგრამით გამოყოფილი თანხის მიზნობრიობის განსაზღვრა; (19)

ასევე მისასაღმებელია „მოსახლეობის ფორუმი“ რომელიც ქალაქ ქუთაისის მერიის თაოსნობით შეიქმნა და ფუნქციონირებს 20014 წლისმისიდან. „ფორუმის შეხვედრებზე, რომელშიც მონაწილეობს 100 სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე ადამიანი, სისტემატიურად ესწრებიან ქუთაისის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე და აფიქსირებენ მოსახლეობის მხრიდან მიმდინარე აქტუალურ საკითხებს, ასახავენ ბიუჯეტში და ითვალისწინებენ ამპრობლემების გადაჭრაში მოსახლეობის აქტიურ ჩართვას“ (20).

#### დასკვნა

სწორი პოლიტიკა, რითაც უნდა ხელმძღვანელობდეს ცენტრალური და მუნიციპალური ხელისუფლება, მდგომარეობს სოციალური კაპიტალის შექმნაში; ხალხის და ხელისუფლების დაახლოებაში; მოქალაქეების გააქტიურებაში და სამოქალაქო საზოგადოების უზრუნველყოფაში. „...სოციალური კაპიტალი ნიშნავს ადამიანების საერთო მიზნებისთვის ერთობლივი მოქმედების უნარს და მოითხოვს ნდობის მაღალ დონეს.ჯგუფს, რომლის წევრებიც ერთმანეთს ენდობიან, გაცილებით მეტი შეუძლიათ, ვიდრე ჯგუფს, -სადაც ასეთი ნდობა არ არსებობს“ (21).

სამწუხაროდ, ჩვენი მუნიციპალური ხელისუფლება ნაკლებად ფიქრობს ისეთი პოლიტიკის წარმართვაზე, რითაც საზოგადოებასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის დაბადებს ურთიერთთანამშრომლობის ლტოლვას; რითაც შეძლებს „განამტკიცოს საზოგადოების მიერ განხორციელებული კოორდინირებულ მოქმედებათა ეფექტიანობა“ (21).

XX საუკუნეში მოღვაწე რუსი ფილოსოფოსისა და პუბლიცისტის ივანე ილინის მიხედვით: „ჭეშმარიტი სახელმწიფო ძალაუფლება მოწოდებულია არა მარტო შეზღუდოს, არამედ გაანთავისუფლოს; არა მარტო გაანთავისუფლოს, არამედ ასწავლოს მოქალაქეებს ნებაყოფილობითი თვითგააღმარებულების აღება... ნებაყოფილობითი მორჩილება და ერთობა“ (22,15). „ჭეშმარიტი

პოლიტიკა მოწოდებულია ეროვნული სამართალშეგნების აღზრდისა და ორგანიზაციისთვის... პოლიტიკა ხალხის გაერთიანების ხელსაწყოა; მრავალსახა და მრავალფეროვან სურვილთა გაერთმინებელია... პოლიტიკოსს უნდა ახსოვდეს, რომ სახელმწიფო მოწყობა და მმართველობა მხოლოდ ხალხის სამართალშეგნების, ესე იგი იმ სულიერი წყობის ფუნქციებია, რომელიც თავისი ისტორიულად წარმოშობილი მრავალფეროვნებით წარმოსდგება“ (22,14).

ამრიგად, სახელმწიფო პოლიტიკა უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, ინიცირება და ხელის შეწყობა ისეთი პროექტების განხორციელებისა, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოქალაქისა და ხელისუფლებას შორის დაკარგული ნდობის აღდგენასა და მოქალაქეებში საჯარო ინტერესების გაღვივებას. მოქალაქეებში საჯარო ინტერესების გამოვლინება ხდება მათი სამოქალაქო აქტივობით, ხოლო სამოქალაქო აქტივობის წინაპირობაა მოქალაქეთა მონაწილეობა - ჩართულობისთვის სათანადო პირობების შექმნა.

მოქალაქეთა მონაწილეობა სამ დონედ იყოფა:

- პირველი (ყველაზე დაბალი) დონე – არამონაწილეობა, როცა მოსახლეობა ინერტიულია და ხელისუფლებაც აღვიდად მანიპულირებს მასზე;

- მეორე დონე – იმიტაცია, ანუ ჩანაცვლება, როცა მოქალაქეს ეძლევა აზრის გამოთქმის საშუალება, მაგრამ ვერ იღებს მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

- მესამე, ანუ უმაღლესი დონე – მოქალაქეთა ძალაუფლება, როცა მოქალაქეს უფლება და საშუალება აქვს ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და იქონიოს ზემოქმედება გადაწყვეტილებაზე(23).

ჯერჯერობით საქართველოში მოქალაქეთა მონაწილეობა იმიტაციის დონის ჩანასახშია. როცა ხელისუფლება და მოქალაქეები ერთობლივად მიიღებენ გადაწყვეტილებებს და ერთობლივად გაინაწილებენ პასუხისმგებლობას, როცა მოქალაქეები შეძლებენ აქტიურად გააკონტროლონ ხელისუფლების ორგანოები და მიაღწიონ რეალურ ცვლილებებს საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის სასიკეთოდ, მაშინ დამყარდება საქართველოში ჭეშმარიტად დემოკრატიული მმართველობა. რადგანაც საქართველომ აირჩია დემოკრატიის გზა, მან ამით იკისრა საყოველთაო კეთილდღეობაზე დაფუძნებული სოციალური და

სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის მისია. ნებისმიერ შემთხვევაში, ცენტრალური ხელისუფლება იქნება თუ ადგილობრივი თვითმმართველობა, სახელმწიფო მოწყობის პოლიტიკა სრულყოფილი იქნება მაშინ, როცა თითოეული მოქალაქე გრძნობს, რომ მისი მთავრობა, – ცენტრალურიც და ადგილობრივიც, – მისი დამცველი, მსახური და მეგობარია.

ლიტერატურა

**References:**

1. Chavchavadze Iliia. „cxovreba da kanoni“ Txzulebebi 8 tomad, t.6 „saxelmwifo gamomcemloba“ Tbilisi 1956 .
2. bitichko v. „municipaluri samarTali“ (in russian) taganrogi, 2010 w
3. tokvili aleqsis. „demokratia amerikashi“gr. robaqizis universiteti. Tbilisi 2011
4. municipaluri samartali, „bona kauza“ Tbilisi 2013 w;
5. www.gori. municipaliteti.ge/saites/dfaunt/fails/europuli...
6. saqartvelis konstitucia. “bona kauza“ Tbilisi 2013 w.
7. saqartvelos organuli kanoni adgilobrivi tvitmmartvelobis kodeqsi USAID, Tbilisi, 2014.
8. izoria l. „tanamedrove saxelmtsifo“ Tbilisi 2013 w.
9. heivudi e. „politika“ „saqartvelos universiteti“ Tbilisi, 2008 w.
10. zardiashvili d. „sajaro marTva“ Tbilisi, 2004 w;
11. svaniSvili a. „adg, tvitm. instituciuri mowyoba“ „poligrafia“ Tbilisi, 2009 w.
12. fifia g. „saqartvelos municipaluri samarTali“ Tbilisi , 2003 w.
13. beqsta a. „adgilobrivi tvitmmarTveloba litvaSi“ (in russian) 2010 w
14. matcne gov.ge/index.php
15. s.a.t.e.a.-is sainformacio biuleteni #3 Tbilisi, 2012
16. denharti r. da j. „sajaro martva“ iliauni, Tbilisi 2012
17. soflis sachiroebis kvleva. „sida“ Tbilisi, 2013
18. adgilobriv tvitmmartvelobaSi moqalaqeta chartulobis saxelmgvanelo, USAID, Tbilisi, 2014
19. www.humanrights.ge/index/php?a=main
20. gazetis iverioni, 24 oqtomberi, 2-014 w
21. www.nplg.gov.ge
22. ilini i. „politikuri warmatebulobis shesaxeb“ Tbilisi 2009.
23. s.a.t.e.a.-is sainformacio biuleteni, #12 Tbilisi, 2012.

**Giorgi Bagaturia, Besik Kaishauri**  
**Political and Organizational Basics of Local Self-Government**

**Summary**

This article deals with the problems of local government. There is emphasized the uniqueness of the municipal or local democracy as an effective management of the development of the state in the process of democratic governance. European Charter "On Local Government" indicates the necessity and importance of the decentralization of power in democratic countries, Georgia has been joined to the Charter and thereby guides has to support the active participation of citizens in public affairs. The article refers to the democratic processes that take place in Georgia and obstacles that must be overcome to build a democratic state of European type.

**Keywords:** local government, democracy, decentralization, participation of citizens in the work of selfgovernment, the impact of selfgovernment on the executive body, the factors of decentralization.

**Reviewer:** Professor: Nunu Ovsiannikova, Georgian Technical University

**გიორგი ბაგატურია, ბესიკ კაიშაური**  
**Политические и организационные основы местного самоуправления**

**Резюме**

Настоящая статья посвящена проблемам местного самоуправления. Подчеркивается уникальность муниципальной или местной демократии как эффективного управления развитием государства в процессе демократического управления государством. О необходимости и значении децентрализации власти в демократических странах свидетельствует Европейская хартия «О местном самоуправлении», к которой присоединилась и Грузия и тем самым ориентиром публичного управления избрала обеспечение активного участия граждан в ведении государственных дел. В статье говорится о тех демократических процессах, которые протекают в Грузии с препятствиями и которые необходимо преодолеть для строительства демократического государства европейского типа.

**Ключевые слова:** местное самоуправление, демократия, децентрализация, участие граждан в самоуправлении, воздействие самоуправления на исполнительный орган, факторы децентрализации.

**Рецензент:** Профессор Нуну Овсянникова, Грузинский технический университет

УДК 35.078.7

**Сергей Белай**

**Разработка типовой организационной структуры для мониторинга и урегулирования кризисных явлений социально-экономического характера**

*Проведен анализ практики создания ситуационных центров. Разработана структура и функции типичного ситуационного центра по противодействию кризисным явлениям социально-экономического происхождения. Даны практические рекомендации по созданию групп мониторинга кризисных явлений.*

**Ключевые слова:** ситуационный центр, группа мониторинга, кризисные явления, государственное управление

Сложная общественно-политическая, социально-экономическая и военная обстановки в Украине требует усовершенствования существующей системы реагирования на кризисные явления. При таких условиях от государственного управления требуются своевременные эффективные действия по предупреждению и урегулированию кризисных ситуаций.

В настоящее время предыдущими исследованиями [1 – 4] разработаны государственные механизмы по противодействию кризисным явлениям социально-экономического характера, а именно государственный механизм мониторинга кризисных явлений социально-экономического характера и комплексный государственный механизм урегулирования кризисных явлений. Но внедрение в практическую деятельность органов государственной власти указанных государственных механизмов требует создания штатной или нештатной структуры.

Современные научные исследования рассматривают мировую практику урегулирования кризисных явлений путем создания соответствующих ситуационных центров. Научные разработки Данчула А.Н., Гудимы А.П., Ильина Н.И., Морозова А.А., Новика И.С., Петрова В.Л., Райкова А., Султанова Ж.Д., Труша А.О., Филимонова В.А., Яценко В.А., Бирюкова Д.С., Мацюка В.В. и др. были направлены на изучение данного вопроса. Но современные реалии жизни украинского общества требуют более детального рассмотрения опыта создания ситуационных центров с целью разработки предложений по созданию соответствующей структуры в Украине.

Целью статьи является проведение анализа практики создания ситуационных центров, разработка структуры и функций типичного ситуационного центра по противодействию кризисным явлениям социально-экономического происхождения и предоставления соответствующих практических рекомендаций.

Особенности реализации технологий распространения информации в современном обществе являются теми факторами, которые влияют на структуру, оборудование и особенности выполняемых задач организационной структурой мониторинга и урегулирования кризисных явлений [5, 6, с.83 – 84]:

- открытая печать традиционно является самым емким и наиболее используемым каналом получения информации. Сегодня в средствах СМИ можно получить информацию по очень широкому кругу вопросов, стоит только грамотно организовать ее поиск, так как около 80% «конечной» содержательной информации содержится в открытых источниках информации доступных для анализа;

- большая часть неявно выраженной информации также содержится в неструктурированном виде – отчеты, рапорты, сведения и т.д.;

- максимальное количество текстовых документов, которые способен обработать «оператор» без заметного ухудшения качества составляет 300-500 документов в день. При информационном потоке более нескольких тысяч документов, традиционные методы осуществления информационно-аналитической деятельности не справляются даже при существенном распараллеливании задачи по операторам;

- извлечение сложных, неявных зависимостей требует привлечения экспертов в предметных областях; однако в условиях однородного по интенсивности информационного потока априорное привлечение экспертов невозможно – просто неизвестно, какой эксперт потребуются в следующую минуту. Кроме того, всегда остается проблема субъективности эксперта. А в условиях временных ограничений – еще и проблема ошибки эксперта;

- прогнозирование развития ситуации, в том числе и кризисной, требует механизма оперативного создания и верификации гипотез о дальнейшей траектории развития событий. Причем экспертная оценка в этих условиях также не спасает – скорость создания и опровержения гипотез должна соответствовать скорости поступления информации. Как следствие – сужение фокусировки, невозможность широкого перебора гипотез и потенциальных решений, и в итоге – неоптимальное управляющее воздействие;

– необходимый для анализа массив информации постоянно растет и достижим для экспертных оценок, даже с помощью современных систем управления базами данных и традиционных компьютерных методах поиска информации, только при следующих ограничениях: или количества гипотез (экспертное решение); или количества источников (экспертное решение или техническая возможность).

В прикладном аспекте организационные структуры для мониторинга и урегулирования кризисных явлений могут, например, решать следующие задачи [6, с.84 – 85]:

– оценка источников информации (частотный анализ лексики, диагностика авторства, видовых характеристик текста, эмоционально-оценочных категорий в тексте и др.);

– кризисное управление (сократить время, необходимое для диагностики кризисной ситуации, определить во времени, близком к реальному, индикаторы кризисной ситуации, провести сравнительный анализ как индикаторов, так и трендов, на основе сравнительного анализа индикаторов выработать временные тренды, которые ранее имели место в подобных кризисах, провести календарное планирование действий (событий, мероприятий) с учетом как «кризисных календарей», так и текущих, оперативных календарей);

– свертывания информационного поля (тематическая параметризация информационного поля, выстраивания сетей связей, выявления референтных групп по источникам и ньюсмейкерам);

– календарное планирование (календарное планирование и построение точек (дат) возможных всплесков информационного поля, одновременное автоматическое календарное построение с текущего календаря и суммы календарей-схем опасных ситуаций и сопроводительного провокационного информационно-психологического фона с отсечением или обозначением невозможных вариантов);

– порождения гипотез о возможном развитии ситуации (сравнение похожих срезов на текущий момент и построение гипотез, генерации гипотез последовательности действий в различных полях, симметричных, асимметричных, получения первичной информации для прогнозирования и моделирования реакции информационного поля на проектируемое событие).

Полноценными системами, которые решают весь спектр задач контроля и управления ситуациями в различных сферах жизнедеятельности, являются современные ситуационные центры. Они предоставляют возможности [6, с. 85; 7. 183]: оптимизации принимаемых решений путем их оценки и моделирования ситуации с

помощью современных информационных технологий; повышение качества предварительного анализа информации и подготовка решения путем использования современных информационных технологий; обеспечение интеграции средств связи, аналитической обработки данных и визуализации информации.

Ситуационные центры позволяют решать такие задачи, как [6, с. 86; 7, с. 184]: обеспечение информационной поддержки руководителей; осуществление непосредственного доступа руководителей к территориально удаленным информационным ресурсам структурных подразделений; согласование и обеспечение целостности функционирования информационно-коммуникационных систем; осуществление доступа к информации организаций, взаимодействующих при принятии решения; сокращение временных и финансовых затрат, вызванных несовместимостью информационно-телекоммуникационных систем, дублированием подготовки данных, их противоречивостью, затруднениями с доступом, выборке и передачей информации; интеграция информационных систем структурных подразделений в единое информационное пространство.

